



პროფესიული განათლება

# მოქალაქიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები პროფესიულ განათლებაში – სარბიხელი მოქალაქისთვის, სარბიხელი ბიზნესისთვის



## ნინო ელბაჯიძე, პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი

კუთარ მომავალ თანამშრომლებსაც მათ შორის მოიაზრებს. მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები დასაქმების რეალური შესაძლებლობებია, თუმცა, თუ როგორი მონდობით ისწავლის სტუდენტი და დაინტერესებს დასაქმებულს, ეს თავად მოქალაქის, პროფესიული სტუდენტის გადასაწყვეტია. ყველა დასაქმებული ეძებს პასუხისმგებლიან, სწორი გადამზადების მიმღებ, დამოუკიდებელ და კეთილსინდისიერ კადრს. ეს ის თვისებებია, რომლებიც მოკლევადიანი პროგრამებში ასე პირდაპირ არ ისწავლება. ეს უნარები დასაქმების მსურველმა თავად უნდა გამოიმუშაოს და, პროფესიულ კომპეტენციებთან ერთად, აჩვენოს დასაქმებულს. პროფესიული განათლების მიღების მსურველს რეალური და ყველაზე მარტივი გზა ეხსენება იმისათვის, რომ დასაქმდეს და იცხოვროს კეთილდღეობაში. მთავარი პასუხისმგებლობა ამაში თავად მოქალაქეს ენიჭება, სახელმწიფო კი ხელშეწყობს პირობებს ქმნის და აფინანსებს განათლებას ზრდასრულის კეთილდღეობისათვის.

**– რას ნიშნავს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები და ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პროგრამით?**

– მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები ზრდასრულთა განათლების ერთ-ერთი ფორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზრდასრულ მოქალაქეს საშუალება აქვს, ამ პროგრამის მეშვეობით, გამოიმუშაოს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომელიც ესაჭიროება დასაქმებულს. ამ პროგრამის გავლით ზრდასრულს ეძლევა შესაძლებლობა, რომ შეძენილი უნარების საფუძველზე მისთვის საინტერესო სამუშაო იპოვოს და წარმატებით დასაქმდეს. უფრო გასაგებად რომ ავხსნა, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება დასაქმებულის დაკვეთის მიხედვით ხდება. კონკრეტული ბიზნესი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აძლევს დაკვეთას, რომ ესაჭიროება სამუშაო ძალა, რომელსაც აქვს პროფესიული კომპეტენციები. ბიზნესის დაკვეთის საფუძველზე, პროფესიული სასწავლებელი შეიმუშავებს მოკლევადიან პროგრამას, რომელიც შედგება სასწავლო გეგმისგან, სასწავლო რესურსებისგან, სწავლის შედეგების ჩამონათვალისა და პროფესიული მსწავლელების კანდიდატურებისგან, რომელთაც უნდა განახორციელონ სწავლება სასწავლებელსა და პრაქტიკული სწავლების ადგილზე. მას შემდეგ, რაც პროფესიული სასწავლებელი, ბიზნესთან კომუნიკაციის საფუძველზე, შეიმუშავებს პროგრამას, წარადგენს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რათა მიიღოს პროგრამის განხორციელების უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამის ხარისხის სახელმწიფო ადებს საკუთარ ნიშანს.

შემდეგ ეტაპზე უკვე სასწავლებელი აცხადებს მიღებას კონკრეტულ პროგრამაზე, რომელიც დაუკვეთა სასწავლებელს ბიზნესმა. შუალედებშიც არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელსაც პროგრამის ამუშავებამდე გადის პროფესიული სასწავლებელი, მაგრამ ყველა დეტალს აქ ვერ მოვყვებით და ჩემი მცდელობაა, დავანახოთ ის ძირითადი გზა, რომელიც აკავშირებს ბიზნესს, პროფესიულ სასწავლებელსა და სწავლის მსურველ მოქალაქეს ერთმანეთთან.

კონკრეტულ პროგრამაზე მსურველთა რეგისტრაციის შემდეგ იწყება სწავლა. რადგან თავიდანვე ბიზნესია მთავარი დამკვეთი ამ პროგრამისა. შესაბამისად, ბიზნესი თავის ადვანტაჟს პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების პროგრესს და სა-

**– რა საკანონმდებლო საფუძვლები აქვს ამ პროგრამებს?**

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების დანერგვას საქართველოში ხელი შეუწყო გაეროს განვითარების პროგრამამ, შეიქცარის მთავრობის დაფინანსებით. ჩვენ ბევრი ვისწავლეთ უცხოური და განსაკუთრებით შვეიცარიული გამოცდილებიდან. პროფესიული განათლებაში, მოგვხსენებთ, მსოფლიოს ოქროს სტანდარტი შვეიცარიაა. უცხოური გამოცდილებით საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა აუცილებელი გახდა იმისათვის, რომ პროცესი ლეგიტიმური ყოფილიყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ამ პროცესში იმ ფაქტს, რომ მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ, მოქალაქეს ეძლევა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. ეს სერტიფიკატი ერთგვარი ხარისხის ნიშანია იმისა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო ხარისხიანი განათლება და დადასტურდა კონკრეტული სასწავლებლების მიერ. საკანონმდებლო საფუძვლების ჩამონათვალი განთავსებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე და მსურველებს შეუძლიათ ნახონ აქ განთავსებული ლინკზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=9133&lang=geo>

აქვე, დაინტერესებული პირებისათვის, ონლაინ ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით, აუცილებლად ვიტყვი შემდეგ: ინფორმაციის და განსაკუთრებით სწორი ინფორმაციის მოძიება ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ადამიანის წარმატებისათვის. მათ შორის ონლაინ სერვისები ინფორმაციის მოძიება (მაგალითად, პროფესიული სასწავლებლის, პროფესიის, დამსაქმებლის, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ და ა.შ.) აუცილებელი უნარია დღევანდელ სამყაროში. ამიტომ, წარმატების ძიების გზაზე, ინფორმაციისა და სწორი ინფორმაციის მოძიების უნარების განვითარება ერთ-ერთი საწყისი და აუცილებელი პირობაა, რომ სასურველ სამსახურში, სასურველ გარემოში საყვარელი საქმის კეთება შეეძლოს.

**– რომელია დღეს მოთხოვნილი პროფესიები მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამებში?**

– ამ შეკითხვას ხშირად სვამენ მოქალაქეები, პროფესიული განათლების მიღების მსურველები და მათი ინტერესი სავსებით ბუნებრივია. მათ სურთ დაუფლონ იმ პროფესიას, რომელიც მოთხოვნილია დამსაქმებლის მხრიდან და რომელიც მათ დასაქ-

მების რეალურ შესაძლებლობას სთავაზობს. ეს სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ამგვარი ინტერესი იქნებოდა არასაკმარისი, თუ ის ძალიან მნიშვნელოვან სფეროსთან არ იქნება დაკავშირებული – ეს არის თავად მოქალაქის, ზრდასრულის ინტერესის სფერო. მაგალითად, ბუნებით შემოქმედი ადამიანი ხართ, გიყვართ ფერების შერწყვა-შეხამება, მოდელების კეთება, სახლის შიდა ან გარე დიზაინში ვარჯიში, მაგრამ შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე აღმოაჩინეთ, რომ ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესია მზარეულობა და ამიტომ აქ ჩაბარება გადაწყვიტეთ, მიუხედავად იმისა, რომ სამზარეულოში ექსპერიმენტების კეთება თქვენი ინტერესის სფერო არ არის. ადრე თუ გვიან, აღმოაჩნით, რომ აკეთებთ საქმეს, რომელიც არ გიყვართ. ასეთი მიდგომათ კი, ერთი ფრუსტრაციიდან, მაგალითად, სამუშაოს ძიებიდან, მეორე ფრუსტრაციაში, არასასურველი საქმის კეთებაში გადავარდებით და ეს არ იქნება სასურველი მდგომარეობა. ამასთანავე, თუ ადამიანი საქმეს სიყვარულით არ აკეთებს, იმის შანსი, რომ ის პროფესიონალად ჩამოყალიბდეს, ნაკლებია. საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილო და ფრუსტრირებულ სამუშაო კადრს არც დასაქმებელი ირჩევს სიამოვნებით, ამიტომ ჩემი რეკომენდაცია ასეთია: თვალი ვადევნოთ შრომის ბაზარს, გარდა კვლევებისა, ამაში, ელემენტარულად, გამოცხადებული ვაკანსიების შესწავლაც დაგვეხმარება და შეუშაბამოთ შედეგები იმას, რაც გიყვარს და გვინტერესებს. ამგვარი შეთავსებით ზრდასრულს რეალური შანსი ეძლევა, ისწავლოს, დასაქმდეს, ანდა, სულაც, საკუთარი წარმატებული ბიზნესი წამოიწყოს. ამგვარი წარმატების მაგალითი არაერთია პროფესიულ განათლებაში.

**– რომელი კოლეჯები სთავაზობენ მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს და რომელ რეგიონებში?**

– ჩვენი ინტერესი სარგებლის მომტანი უნდა იყოს, როგორც ეს სათაურშივე აღვნიშნეთ და დაინტერესებულ პირებს დაეხმაროს, მიიღონ სასარგებლო ინფორმაცია და დაიწყონ მოქმედება წარმატებისთვის. ეს გზა კი, სწორედ იმ სასწავლებლებით იწყება, რომლებიც მოკლევადიან და ასევე გრძელვადიან პროფესიულ პროგრამებს სთავაზობენ ზრდასრულებსა და პროფესიული განათლების მიღების მსურველ პირებს.

ყველა საჯარო კოლეჯის, ყველა კერძო კოლეჯისა თუ სხვა დაწესებულების, რომელიც პროგრამებს ახორციელებს, სრული ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ აქ: <http://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo>

დაუკავშირდით სასწავლებლებს, მოითხოვეთ კონსულტაცია, დაინიშნეთ შეხვედრა, მიიღეთ ადგილი და ნახეთ სასწავლებელი, პერსონალი, მიიღეთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, აარჩიეთ თქვენთვის სასურველი. იმ 200-ზე მეტ პროფესიაში, რომელთაც სასწავლებლები სთავაზობენ მსურველებს, აუცილებლად ნახავთ თქვენთვის საინტერესოს, რომელიც წარმატების გზაზე გაგიყვანთ.

**– მოკლევადიანი პროგრამები ასევე სარგებლის მომტანია ბიზნესისათვის, რა უნდა გააკეთოს ბიზნესმა, რომ ამ პროგრამით ისარგებლოს?**

– ბიზნესს თავად შეუძლია გახდეს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამის ინიციატორიცა და განმახორციელებელიც. რა გზა უნდა გაიაროს ამისათვის ბიზნესმა, ამ თემაზე მომავალ ინტერვიუში ვისაუბრებთ, ბიზნესის წარმომადგენელთან ერთად.

## მათი ტაქიკი, კოლეჯ „საქტრის“ დირექტორი



**– ბატონო მათე, რას სთავაზობს თქვენი კოლეჯი მოქალაქეებს, ვის შეუძლია, რომ მოგმართოთ?**

– პროფესიული კოლეჯი „საქტრი“ მოქალაქეებს სთავაზობს სამშენებლო ინჟინერიასთან დაკავშირებულ, როგორც გრძელვადიანი მომზადების, ასევე მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამებს, ჯამში, 19 მიმართულებით. ჩვენთან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული განათლების მიღება შეუძლი-

ათ როგორც ზრდასრულებს, ასევე საბაზო განათლების მქონე ახალგაზრდებს. 2021-2022 სასწავლო წლისათვის ერთი კარგი სახელე ვაქვს – 9 კლასის განათლების მქონე პირებს საშუალება ექნებათ, ინტეგრირებულ პროგრამაზე ისწავლონ, სამი მიმართულებით: ელექტრობა, ჰაერის კონდიციონერა და სახვითი ხელოვნება. ეს 3-წლიანი პროგრამები მათ საშუალებას მისცემს, მიიღონ პროფესიული განათლება და ასევე, კოლეჯში, ადგილზევე, აიღონ სრული ზოგადი განათლების ატესტატი.

**– როგორია მომართვიანობა, თუ იჩენენ ინტერესს მოქალაქეები? რომელია ყველაზე მოთხოვნილი სპეციალობა?**

– გასული ორი წლის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, გრძელვადიან პროგრამებზე, საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღებებზე, წლიურად, ჯამში, 800-მდე მოქალაქე გახდა ჩვენი სტუდენტი. ძალიან მაღალია მოთხოვნა მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამაზე, ხშირად აკადემიური განათლების მქონე მოქალაქეებიც მოგვმართავენ, რომელთაც სურთ, თავიანთ სპეციალობაში აიმაღლონ პრაქტიკული კომპეტენციები ან ახალ პროფესიაში მოსინჯონ თავი. გასულ ორ წელიწადში პროფესიული მომზადების მოკლევადიანი პროგრამა, ჯამში, 250-მდე მოქალაქემ გაიარა.

კოლეჯში არსებული სპეციალობებიდან, ამჟამად, ყველაზე მოთხოვნილია: ელექტრობა, 3D მოდელოება, ჰაერის კონდიციონერა, შედუღება. ბოლო წლებია, ამ პროგრამებზე მაღალი მომართვიანობაა.

**– ბიზნესთან კომუნიკაციის რა მეთოდები გაცხედ და რა სურს**

**ბიზნესს დღეს პროფესიული განათლებისგან?**


– კოლეჯის განვითარების საწინდარი, დიდწილად, სწორედ ბიზნესის აქტიური მხარდაჭერაა. ჩვენს ინფრასტრუქტურულ განვითარებაში კერძო სექტორს დიდი კონტრიბუცია აქვს შეტანილი, ლაბორატორიების უმრავლესობა სწორედ ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერითაა აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით. დუალური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება „საქტრის“ პრიორიტეტია. ჩვენი კარი ღიაა სამშენებლო ინჟინერიის მოქმედი ყველა ბიზნესისათვის. მისსალმებელია, რომ მიმართვიანობა და ნდობა ბიზნესის მხრიდან „საქტრის“ მიმართ ყოველწლიურად მატულობს. ამას, დიდწილად, ჩვენს მუდმივ პარტნიორებთან პოზიტიური გამოცდილება განაპირობებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, ფეხდაფეხ მივყვეთ ბიზნესის მოთხოვნებს, მათთან ერთად გავანალიზოთ ჩვენი უპირატესობები და სუსტი მხარეები, რათა გავზარდოთ როგორც სწავლების ხარისხი, ასევე კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე. ბიზნესს სურს კადრები, რომლებიც პასუხობენ დასაქმების ბაზრის დღევანდელ მოთხოვნებს. მოთხოვნები კი, ჩვენს სფეროში ძალიან სწრაფად იცვლება, ჩვენც ვცდილობთ, ყოველწლიურად გადავწყვიტოთ, ბაზრის დინამიკა რომ არ ჩამოვრჩეთ. ვფიქრობ, სწორედ ბიზნეს სექტორთან მდგრად თანამშრომლობაშია პროფესიული განათლების განვითარების მომავალი.

# ლია გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

## ლიტერატურული სავაჭრო სკოლადამთავრებულთათვის

მაია მინთაშაშვილი

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



ჩემო საყვარელო კურსდამთავრებულებო, მინდა, მოგონება სკოლაზე გულში სითბოს გიღვრიდეთ, ბედნიერ წუთებთან ასოცირდებოდეს. ის ცხოვრების წიგნიდან ამოგლეჯილ ფურცლებს კი არა, ათასი თავგადასავლით გახალისებულ პერიოდს უნდა ჰგავდეს. იმედი მაქვს, ეს ასეც იქნება... მაშინ, როცა ეს დღე დადგა ჩემს ცხოვრებაში, საკუთარ თავს დავეუსვი კითხვა – ახლა რა იქნება? მეგონა, ჩემი თავის ბატონ-პატრონი გავხდი-მეთქი, ახლა აღარავინ მეტყვის, რა დროს შენს ჭკუაზე სიარულია, ჯერ პატარა ხარ, არ იცნობ ცხოვრებასო და ა.შ... ჩემს თაობას უფრო გეტუქსავდნენ, ვიდრე გვარიგებდნენ, რადაცნაირად ჩარჩოებში იყო მოქცეული ჩვენი და უფროსი თაობის დამოკიდებულებები, ცოტა ტაბუდადებულიც; ამ გადმოსახედიდან მეჩვენება, ცხოვრებას ნაკლებად ან არასწორად გვასწავლიდნენ, ან როგორ უნდა ესწავლებინათ?! ყველას გასაგებელია გზა ინდივიდუალური და განსხვავებულია. ის სხვა დრო იყო, რადიკალურად განსხვავებული დღევანდელია – აზროვნებითაც, ურთიერთობებითაც... მოკლედ, ამის გახსენებით იმის თქმა მინდა, რომ სკოლაში, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა განსწავლეს, თუ როგორ იცხოვრო. მაკედონელია არ იყოს, ჩვენი მშობლები განიჭებენ სიცოცხლეს და განათლება გვაძლევენ იმას, რაც ცხოვრებას აზრს ანიჭებენ.

ლიტერატურა რომ თავშესაფარია, მგონი, ამის ახსნა აღარ გჭირდებათ. მე კი მოკრძალებულად მინდა გზა დაგიოცოთ ცხოვრების დიდ და საინტერესო გზაზე ლიტერატურის დახმარებით; დიახ, რაოდენ უჩვეულოც არ უნდა იყოს, გაკვადნიერდები და ქართველ მწერლებთან ერთად მინდა თქვენი ცხოვრების გააზრებაში კიდევ ერთხელ „ჩაგიტაროთ“ ლია გაკვეთილი... მამ ასე, ჩემო მოსწავლეებო, და არა მარტო ჩემო მოსწავლეებო! არასოდეს დაივიწყდეთ, რომ „ესე ყოველი ცხოვრება, ვითარცა ყვავილი ველთაი წარმავალ არს და დაუდგომელ“; არასოდეს დაივიწყოთ ის, რომ ამ წუთისოფლის გამლამაზებლად ვართ ჩვენ მოვლენილი და არა წუთისოფლის დასაპყრობად. ამას მაინც ვერ მოვხსენებთ; „რადგანაც კაცნი გვექვიან, შეიღნი სოფლისა, უნდა კიდევ ძივსდით მას, გვესმას მშობლისა, არც კაცი ვარგა, რომ სოფელში მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ლიტერატურამ გვასწავლა, რომ უნდა გვიყვარდეს მოყვასი, კეთილს მიუღებდეთ მას, თუ მტერს ვერ შევიყვარებთ, ბოროტს მაინც ნუ ვუსურვებთ. კანის ცოდვა ნუ გავითვალვს ღირსებას და ავმალდეთ საკუთარ მერკანტილურ სურვილებზე. არ დაგავინწყდეთ, „ცა მინიდან იწყება“. ეს მინა ჯილდოდ გადმოგვცა. „პატარძალსავით მორთული“ სამშობლო გვაქვს და „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა, ქართულითა ენითა, ყაში შიენირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულებს“. რუსთაველი აქ დაიბადა და ქართულ ენას სიამაყე და ძალა მისცა. გახსოვთ, რამდენი რამ გვასწავლა?! რომელი ერთი გავიხსენოთ?! „კაცია არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“, და გვითხრა, სახელოვანი სიკვდილი გერჩიოს უგვან სიცოცხლესო; ან სხვას დაეხმარე, ან ცოცხალ-მკვდარს დაემსგავსებო, გაგვახსენა: „სიყვარული აღგვამაღლებს“, ცხოვრებას არ გაეთელინოთო. სახელის მოხვეჭის მნიშვნელობაზე, დიდ სიყვარულზე, თავდადებაზე, პატრიოტიზმზე, სინდის-ნამუსზე, გულუხვობაზე ისეთი გაკვეთილი ჩავგიტარა, ყველამ ჩვენი სკოლისკენ, „რუსთაველის სკოლისკენ“, გამოიხედა. ამ სულმნათობა ანგარიშგასაწევე რად გვაქცია. მას მერე არაერთმა არნივმა შემოჰკრა ხელოვნების ჯადოსნური ფრთები. დავით გურამიშვილმა შორეულ სანახებში გულში შეინახა ქართული ენა და შორეულ სტეპებში მყოფმა არ დაივიწყა. ამ ენით სამშობლოს სიყვარული შემოგვითვალა, ურთიერთშუღლის შედეგების მწარე გაკვეთილი ჩავგიტარა და სწავლის მნიშვნელობაზე თხოვნა-შეგონების ბრწყინვალე უსტაროც გვიბოძა. სიბრძნევე თავს რომ დაგაკარგვინებს და საკუთარი გადაწყვეტილებით თავს წაანყვეტინებს ცრუ მოძურებს, „თავტაფიანები“ რომ მრავლდებიან ქვეყანაზე და ღირსება და მორალი სანთლით არის საძებნელი, ეს სულხან-საბას დახმარებით ვისწავლეთ...

მერე იყო გლეჯა და ნუნვა ჩვენი ქვეყნისა. გადარჩენა-არ-გადარჩენის ზღვარზე მყოფი ერი მაინც ახერხებდა შემოქმედებითად თავის გამოჩენას. მეფის რუსეთმა „ნათრევ ლომსავით“ აქცია „უთვალავის ფერით“ მორთული ჩვენი ქვეყანა, ჩინ-მედლებითა და მათრახით იმდროინდელ ქართველებს საკუთარივე ხელით აქმენინა იმპერიის სადიდებელი გუნდრუკი და იმ დროს, „როცა საქართველოში ბნელოდა, გაუვალა წყვილი იდგა, მყარად არაბუნებრივი, მაგრამ უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი“, ჯერ ისევე პატარა ტატიომ, „ბედნიერმა ტანჯულმა“, გალახული თაობა მერანზე შემოსვა და, ებრაელთა უდაბნოში ხეტიალის დარად, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაატარა, გაბეჩავებული ერი საქართველოს მამას ჩააბარა საპატრონოდ, სადაგვოზოდ, სამკურნალოდ... აი, იმან კი უმკურნალა და მოუარა... ანამენეუ ერისა ძალიან არასახარბილო იყო: „ყველა ცრუი, ყველა ყრუი“... „გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“... სწავლის მიმართ ლუარსაბულად განწყობილი, მოკოტრიალე, არხენი, თვითკმაყოფილი, „უფიცობის ფსკერზე“ მყოფი. ილიამ, როგორც ერის მამამ, საღათას ძლით დაძინებულ ქართველობას ანდერძით დაუტოვა: მოძრაობა და მარტო მოძრაობა გადაგარჩენს, საკუთარი ადგილის დამკვიდრება შეძელი და „პადაპრუჩიკებს“ და „იაშჩიკებს“ ნუ გამოადღებინებ გულ-მუცელსა და გონებასო. ილიამ განათლების ტაძარში ჩამქრალი ცეცხლი გააღვივა და ოლიმპიელით ესტავეტა ვაჟას გადაულოცა. მაშინ იყო, რომ ქართულად ამოიდგეს ენა ყვავილებმა, მთებმა, ქვებმა, მდინარეებმა, ფრინველებმა თუ ცხოველებმა და აქამდე დაგროვილი ყველა საიდუმლო ერთიანად გაცხადდა. მითში, ზღაპარში, ლექსში, პოეზიაში ხეტიალმა ენაში ენა დაბადა, გაცოცხლა; აკაკიმ საყვარლის საფლავის ძებნაში პოეზია ისე გაამდიდრა, ყველა ჩვენ შემოგვანატროდა, მგოსნის ტიტული და გვირგვინიც მოიხდინა და სამშობლოს ცა ფირუხსა და ხმელეთ ზურმუხტს პოეზიის ხელთუქმნი ძეგლი დაუდგა.

ჩემო დაფრთიანებული სამოთხის ჩიტებო, ილია გულით გიყვარდეთ და არა სიტყვით; ვუფასოთ ერთად გაიტრუნეთ და ყური მიუგდეთ მშობლიურ მთებსა და ლელიანს, ყვავილებთან ერთად შეიყვარეთ სამყარო და დაფიქრდით, რა უკეთესია, ბლახი იყოთ თუ ცელი, ცხვარი თუ მგელი?! არ დაგავინწყდეთ: „რაც არ იწვის, არ ანათებს“. ადამიანისთვის დანთებულ სანთელს თვალი აყოლოთ ზემოთ და მთიდან ყაზბეგის ხმა შეგახსენებთ მარადიულ შეგონებას: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ...“.

მერე მიღმიერი სამყაროდან მოფრინდნენ მოლაღურები, ჯადოსნური ფასკუნჯები, სამოთხის ჩიტები, რომელთაც ახალი, უცნაური ამბების მოყოლა დაიწყეს პაოლო იაშვილის, ტიცთან ტაბიძის, გოგლა ლეონიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ნიკო სამადაშვილის ენით... მერე უცნაური ფერის თოვლმა დაიწყო ციდან ფენა, ქარი ამოვარდა და ღრუბლებიდან თვით შოთა რუსთაველის ხელით შექმნილ


პოეტთა სამეფო ტახტზე დაბრძანებული გალაკტიონ ტაბიძე მინაზე მეფურად დაეშვა. თქვენებურ სიზმრებს ვერ ვხედავო, ანკი როგორ დაინახავდა?... ვარდისფერი გზით გაეშურა სიკვდილის ბილიკებისკენ; გალაკტიონი, ლოცვად გრძალს დამსგავსებული, ამ სასტიკო სამყაროში სილაშქარად მოგვევლინა, ჩვენდა სანუგეშოდ და საბედნიეროდ, თუმცა თვითონ ტატოსავით მარტო იყო, სულ, სულ მარტო... როცა ცხოვრების ორომტრიალისაგან დაიღვლებით, გალაკტიონს მიმართეთ, ის დაგეხმარებათ – ფრთებს შეგახსნამთ და გამოგზაურებთ იისფერი თოვლის ქალწულებრივ ლიცლიცში. მიენდეთ... მას ხომ მკერდს ქნარი ისე აქვს მიდებული, როგორც უნდა...

წინაპრებიც ამას ჰქვია: დავით კლდიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ რჩეულიშვილი, გურამ დონანაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე, თამაზ და ოთარ ჭილაძეები... მათი თითოეული გენი-ალური ფრაზა ცხოვრებაში წამოჭრილ კითხვებზე პასუხს გაცემთ. ჯავახიშვილი ყოველთვის შეგახსენებთ, რომ საკუთარ საქმეს თავად უნდა მიხედოთ, თქვენი ღირსება არავის უნდა გაათელინოთ. ქართველობა შენი უბედურების მიზეზად არანაირად არ შეიძლება მიიჩნიო. შენი მარგო (საქართველო) სიცოცხლის ფასად უნდა დაიცვა და ჯავოსნაირ ყეყეებს ფეხქვეშ არ უნდა გაათელინო. თეიმურაზ ხევისთავით ლეშვით აკიდებულ შერცხვენილ სიცოცხლეს საკუთარ თავში რწმენის უქონლობა იწვევს. ქართველი კალმით, რომელიც გოლგოთის გზის მსგავსია, ჯავახიშვილმა ნაკაცრობის უარყოფა წარმოგვიჩინა ისევე, როგორც ილიამ „არაფრობის უარყოფა“ გააკრიტიკა ლუარსაბის სახის შექმნისას. გამსახურდია? თვალში ჩაგხედავთ და საკუთარ ნამუსში ჩაგახედებთ; „ბედნიერი ერის“ წარმომადგენლებს გვახსენებს, რომ „თუ მთელმა ერმა არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის“ იმ ერის სიბეჩავესა და მონობას. „ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნობა გვიყვარს“, არჩეულ საქმეზე გულის სისხლის გაღება გვიჭირდა და გვეზარამაცება. არ დაგვავიწყდეს ჩვენი სენი: „დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაგვიკორტინო, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები...“; ეს როგორმე გამოასწორეთო, დაგვიბარა ანდერძით. თუ დაუჯერებთ, საკუთარ თავში სვეტიცხოველით ძლიერ, მარადიულ, მაროტების გამანეიტრალებელ ტაძარს აგავებინებთ. ჭაბუა, ერთი კაცის მაგალითზე, ცხოვრებას გასწავლით და ისე დაგამოდგრავთ, რომ ამ ცოდნას ვერაფერი შეეხება, საიმედოდ გაიდგამს ფეხებს. რჩეულიშვილი თავისი განუთქმობელი, ექსცენსურიკული, არაორდინარული წერის მანერითა თუ სათქმელით დაგიმეგობრებთ და თავგანწირვის სიკეთეზე დაგელაპარაკებთ. „სამოსელი პირველით“ შეიმოსებით, როცა დონანაშვილის სამყაროში შეებიჯებთ და ნამდვილ, მარადიულ ფასეულობებზე დაფიქრდებით. დედამიწას რომ სიყვარული ატრიალებს, ადამიანი ადამიანისთვის დიდ რომ არის, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ კაცი, რომელსაც ლიტერატურა ასე ძლიერ უყვარს. ქარჩხაძე ადამიანად ყოფნის თავგანწირვაზე მოგიყვებათ, დაგამეგობრებთ და დაგამეგობრებთ, რომ ნელში გასწორებისას ტკივილი დროებითია, ფიქრი – ადამიანის დანიშნულებაზე – მთავარი; ოთარ ჭილაძე? ის სამყაროს სხვა თვალთ შეგახედებთ, ფიქრის უნარს გასწავლით, მის სამყაროში თუ იმოგზაურებთ, მესამე თვალი აგვიხილებაო, ცხოვრების სწავლის გაკვეთილები ეგ იქნება, თუ იქნება. მას „მთელი ქვეყანა, ბლახის ფეხვიდან ვარსკვლავამდე, წიგნივით ედო წინ“; გვითხრა, რომ თავად არის „ადამიანი ყველაფერში დამნაშავე, თავად არის საკუთარი თავის მტერი, იმიტომ, რომ მთელი სიცოცხლე გაორებულია, გაორებული კი არ არის, ყველაფერი ორი აქვს მომადლებული ბუნებისაგან, არა მარტო ხელი, ფეხი, თვალი თუ ყური – ფიქრიც, მიზანიც, თვალსაზრისიც, სურვილიც...“ დარიგებაც ამას ჰქვია: „არასოდეს არ მიითვისო, რისი მითვისებაც არ შეიძლება – სხვისი აკვანი, ანდა სხვისი საფლავი, სხვისი ნუხილი, ანდა სხვისი საგოდებელი“... „სიცოცხლეს იცევე ძნელია, როგორც სიკვდილი; ერთი რაღაცის ამოხსნას გავალდებულებს, მეორე კი, რაღაცის დაძლევის ერთიცა და მეორეც ძნელია, მაგრამ მაინც უნდა შესძლო ერთიცა და მეორეც...“ ქაიხოსრო მაკაბელივით სიკვდილდასუნთქმულმა შენს ეგოიზმს არ უნდა გადააყოლო სამყარო. ადამიანი ისე უნდა შეიყვარო, რომ ოთახში შენს სასიცოცხლოდ არსებულ ჰაერზე მეტი იყოს...

წხოვრებაში როგორ ვაგვიჭირდებოთ, ლიტერატურას შეაფარეთ თავი, ის გადაგარჩენი! „ლაშენათევი და ნამფრადოევი“ თუკი წხოვრებისაგან იმედგარეულებული დარჩენით, გახსოვდეთ, ეს მარტო თქვენ არ დაგმართინათ. თქვენ უკან უამრავი ჰერსონაჟია; მათ ეს პრობლემა ავად თუ კარგად გადაწყვიტეს. ისინი შეგეშველებიან, დაგაკვლიანებენ. თითქმის თქვენსეულა ტატო მერანს შეგაშველებთ, სევდის მდინარიდან გამოგიყვანთ.

გილორავთ თქვენი წხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დასრულებას და შინაარსიან, სისხლსავსე, საინტერესო თავგადასავლებით აღსავსე მომავალს გისურვებთ.

თქვენი მონა-მორჩილი მაია მინთაშვილი



ახიზურიანთა დასახარებლად

# როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის მათემატიკაში



**ზაზა თაველრაძე**  
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მათემატიკის ჯგუფის ხელმძღვანელი

დღეს მინდა, გესაუბროთ მათემატიკის ტესტის სტრუქტურაზე, ასევე, გასულ წლებში, აბიტურიენტების მიერ დაშვებულ შეცდომებზე და მოგცეთ რჩევები, რომელიც, ვიმედოვნებ, დაგეხმარებათ, უკეთ შეასრულოთ მათემატიკის ტესტი. 2021 წლის ეროვნული გამოცდის მათემატიკის ტესტის სტრუქტურამ მცირე ცვლილება განიცადა. თავიდანვე ვიტყვი, რომ ცვლილება არ შეეხება საგამოცდო პროგრამას, რომლის ნახვა თქვენ შეგიძლიათ გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. იქ წარმოდგენილია, ასევე, კრებულები, ერთ-ერთია „როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის მათემატიკაში 2021 წელს“, სადაც თქვენ შეგიძლიათ იხილოთ საგამოცდო პროგრამა, ნახოთ როგორი იყო ძველი დავალებები, როგორ სწორდება ეს დავალებები, აგრეთვე, აბიტურიენტების მიერ, გასულ წლებში, დაშვებული ხარვეზები და რჩევები, როგორ ავირიდოთ თავიდან ეს ხარვეზები.

განვიხილოთ ახალი ტესტის სტრუქტურა. წლებიდან ტესტი შედგება 35 დავალებისგან, აქედან პირველი 27 ე.წ. არჩევითი პასუხებიანი დავალებაა, თითოეული მათგანს ახლავს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენი ნაშრომი შეფასდება 1 ქულით, თუ თქვენ პასუხების ფურცელზე გადაიტანთ ამ სწორი პასუხის შესაბამის აღმნიშვნელ ასოს, ჯერით, მაგალითად, ა), ან ბ), ან გ), ან დ). ტესტის დანარჩენი დავალებები, 28-დან 35-ის ჩათვლით, წერილი დავალებებია, აქედან პირველი ორი 2-ქულიანია, შემდეგი 4 – 3-ქულიანი, ბოლო 2 დავალება 4-ქულიანია.

წერილი დავალების შეფასება განსხვავებული წესით ხდება. ინსტრუქციაში, რომელიც ტესტს თან ახლავს, ნაიკითხავთ მოთხოვნას წერილი დავალებების შესახებ. იქ თვალნათლივ და ერთმნიშვნელოვნადაა აღნიშნული, რომ წერილი დავალების პასუხი ჩანერილი და წარმოდგენილი უნდა იყოს მწყობრივად დასვლით, ყველა დეტალი უნდა იყოს აღნიშნული. თუ თქვენ, მაგალითად, ზეპირად დანერტ პასუხს და არ იქნება ნაჩვენები ამ პასუხის მიღების გზა, მაშინ ეს დავალება დადებითი ქულით არ შეფასდება. წერილი დავალება ფასდება შემდეგი სტრუქტურის მიხედვით, მაგალითად, დავალება 4-ქულიანია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ მიიღებთ მხოლოდ 4 ქულას, თუ გააკეთებთ ან მიიღებთ 0 ქულას, თუ ვერ გააკეთებთ. თქვენი ნაშრომი შეიძლება შეფასდეს ნებისმიერი შუალედური მთელი რიცხვით, მაგალითად, შეფასდეს 1 ქულით, 2 ქულით, 3 ქულით, ასევე 4-ით ან 0 ქულით.

განვიხილოთ, რის მიხედვით ვიღებთ ჩვენ ამა თუ იმ შეფასებას. თითოეული წერილი დავალების ამოხსნა დაყოფილია ეტაპებად. ეტაპი რისგან შედგება? ეტაპი შედგება ამ ამოცანის ამოხსნისათვის საჭირო რაიმე სიდიდის პოენისგან და ასევე, საჭირო სიდიდებს შორის კავშირის დადგენისგან. გიჩვენებთ ასეთი შეფასების სქემის ერთ-ერთ ნიმუშს, რომ წარმოდგენა შეგვექმნას, რაზეა საუბარი.

**ამოცანა 31** 2 ქულა

ამოხსნით უტოლობათა სისტემა

$$\begin{cases} 2(x-1) + 3 \leq 8 \\ 5x - 4 \geq 13 \end{cases}$$

**ამოხსნა**

$$\begin{cases} 2(x-1) + 3 \leq 8 \\ 5x - 4 \geq 13 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 2x \leq 7 \\ 5x \geq 17 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \leq \frac{7}{2} \\ x \geq \frac{17}{5} \end{cases}$$

**პასუხი:**  $\frac{17}{5} \leq x \leq \frac{7}{2}$ .

**ამოხსნის ეტაპები**

ა) იპოვა ერთ-ერთი უტოლობის ამოხსნის სიმრავლე;  
ბ) პასუხი (ინტერვალის ან უტოლობის სახით).

**შეფასების სქემა**

1 ქულა - ა;  
2 ქულა - ა, ბ.


ეს არის გასული წლის ერთ-ერთი ვარიანტის (გასულ წელს, მოგეხსენებათ, ორი ვარიანტი იყო) 31-ე დავალება. ამ დავალების შეფასების სქემა ეგზავნება გამსწორებლებს და ისინი, მასზე დაყრდნობით, აფასებენ თქვენს ნაშრომს.

რას ვხედავთ ამ შეფასების სქემაში? 31-ე დავალება ითხოვს, ვიპოვოთ წარმოდგენილი უტოლობათა სისტემის ამოხსნის სიმრავლე, მოკლედ რომ ვთქვათ, ამოხსნათ უტოლობათა სისტემა. მოცემულია ამოხსნის ერთ-ერთი ვარიანტი. უფრო რთულ დავალებას, შესაძლოა, ამოხსნის რამდენიმე ვარიანტიც კი ჰქონდეს – 2, 3 ან 4 ვარიანტიც კი მოიძებნოს. ამის შემდეგ, მოდის ამოხსნის ეტაპები. მე სპეციალურად შევარჩიე ყველაზე მარტივი დავალება, სწრაფად რომ გავიაროთ და უბრალოდ, პრინციპულად გავიგოთ, როგორ ხდება თქვენი ნაშრომის შეფასება (რთული დავალება არ გვინდა, რადგან დიდ დროს მოითხოვს განსახილველად). როგორც ვხედავთ, აქ ორი ეტაპია – პირველი ეტაპი ა) პუნქტითაა აღნიშნული და გვეუბნება, რომ აბიტურიენტმა იპოვა სისტემაში შემავალი ერთ-ერთი უტოლობის ამოხსნის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამოხსნის სიმრავლე, ხოლო ბ) პუნქტი ამბობს, რომ იპოვა თავად სისტემის ამოხსნის სიმრავლე. გამსწორებელი რომ ხედავს ამ შეფასების სქემას, მისთვის უკვე ძალიან მარტივია ქულების დანერტა. შეიძლება, მაგალითად, სისტემაში შემავალი ორივე უტოლობა ამოხსნათ, მაგრამ შეფასების სქემა ცალსახად ამბობს, რომ მაინც იწერება ერთი ქულა იმიტომ, რომ ორივე უტოლობის ამოხსნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სისტემის ამოხსნას, შემდეგ უნდა იპოვოთ ამ ამოხსნის სიმრავლის თანაკვეთა.

ახლა მინდა წარმოგიდგინოთ, როგორც დაგპირდით, გასულ წლებში აბიტურიენტთა ნაშრომებში შემჩნეული ხარვეზები, რომელიც წლიდან წლამდე მეორდება და აქვე, მოკლედ მოგვთხროთ, როგორ გარკვეული რჩევები, რომელიც, ვიმედოვნებ, დაგეხმარებათ, უკეთ შეასრულოთ მათემატიკის ტესტი.


პირველ, როგორც, ყურადღებით წავიკითხოთ ამოცანა, კარგად გავიაროთ მასში მოცემული პირობები, ამოცანის ამოხსნა პასუხების ფურცელზე დაგვწეროთ ზუსტად ამ ამოცანის პასუხისათვის გამოყოფილ ადგილზე. რატომ გაძღვეთ ასეთ რჩევას? იმიტომ, რომ გავრცელებული შეცდომაა, როდესაც აბიტურიენტი ამას არ აქცევს ყურადღებას და თუნდაც სწორად ამოხსნის დავალებას, პასუხების ფურცელზე, სხვა დავალების ადგილას წერს, რაც იწვევს პრობლემას. რა სახის პრობლემას? მაგალითად, 28-ე ამოცანის ამოხსნა დანერტე 33-ე ამოცანისათვის გამოყოფილ ადგილას, ეს ნიშნავს, რომ 33-ე ამოცანის გამსწორებელს მისდის თქვენი ნაწერი და რადგან მას არ აქვს უფლება, გაასწოროს სხვა დავალება (ის მხოლოდ 33-ე დავალების გამსწორებელია), ერთადერთი გზა დარჩენია – ნაწერი გადააგზავნოს პრობლემურ დავალებებში. შემდეგ ცალკე უნდა შეიკრიბოს კომისია, დავალება ამოიბეჭდოს ფურცელზე და ქაღალდზე გასწორდეს. ეს იწვევს გამოცდის შედეგების გამოცხადების გადავადებას, ზედმეტი პრობლემა და იმიტომ, დაბეჯითებით გთხოვთ, ყოველი დავალების პასუხი ზუსტად ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილზე გადაიტანოთ პასუხების ფურცელზე. ეს არ არის რთული საქმე – 8 ლია დავალება და ძალიან მარტივია, თითოეული მათგანი დააკავშიროთ ამ კონკრეტული ამოცანისთვის გამოყოფილ ადგილს პასუხების ფურცელზე.

საგამოცდო დავალების თანმხლებ ინსტრუქციაში ჩვენ, ასევე, ვკითხულობთ, რომ **ლია დავალებებში, სადაც მოითხოვენ ამოცანის ამოხსნის დემონსტრირებას, აბიტურიენტის ჩანაწერში მკაფიოდ და ნათლად უნდა ჩანდეს ამოცანის ამოხსნის გზა. კიდევ განვმეორდები და გეტყვით, რომ თუ თქვენს ნაწერში არ იქნება ამოცანის ამოხსნის დემონსტრირება, თუნდაც სწორი პასუხის შემთხვევაში (მაგალითად, გეკითხებიან წრეწირის რადიუსს და დანერტ, რომ რადიუსი უდრის 3 სანტიმეტრს), ნაშრომი არ შეფასდება დადებითი ქულით, შეფასდება 0 ქულით** იმიტომ, რომ ტესტის სტრუქტურით და ინსტრუქციით, მოგეთხოვებათ, რომ აჩვენოთ თქვენი მათემატიკური უნარები, ასევე, ლოგიკური მსჯელობის უნარი და თანმიმდევრულად გამართული პასუხი გაცეთ, როგორ იმსჯელებთ, რა ფაქტებზე დაყრდნობით, რა თეორემები და ფორმულები გამოიყენებთ. ინსტრუქციის მიუხედავად, ტესტებში ძალიან ბევრი ხარვეზია აბიტურიენტების მიერ დაშვებული და ამ მაგალითებს იმიტომ გიჩვენებთ (რასაკვირველია, შესანიშნავი ნაწერებიც არის, ბრწყინვალე აბიტურიენტებიც გვყავს. სამწუხაროდ, მათი ნილი არ არის იმდენი, რამდენიც სასურველია იყოს) და ვამახვილებთ ყურადღებას ხარვეზებზე, რომ ზუსტად ამ ხარვეზების ცოდნა დაგვეხმარება, უკეთ დაგვწეროთ ტესტი. მაგალითად, 33-ე დავალება, გეომეტრია – პლანიმეტრიის დავალება.




უკვე არც არის საჭირო, გავრკვეთ ამ დავალების პირობაში. თავად ხედავთ, რომ ეს დავალება თეთრად არის წარმოდგენილი იმ სახით, რომლის ნაკითხვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თქვენი თავი რომ წარმოიდგინოთ გამსწორებლის ადგილას, როგორ უნდა შეაფასოთ, როგორი კეთილგანწყობილიც არ უნდა იყოთ, მსგავსი ნაწერი – ნახაზი გადახაზულია,

ზედ წარწერაც გადახაზული, თავიდანაა გაკეთებული წარწერა და ისევ გადახაზულია, ტექსტებიც გადახაზული... შეგახსენებთ, რომ თქვენ გეძღვევთ სავარჯიშო ფურცლები განუსაზღვრელი რაოდენობით. თუ გავითვალვებთ, შეგიძლიათ მოითხოვოთ და დამატებით ფურცლებს მოგცემენ. სავარჯიშო ფურცელი ზუსტად იმისთვისაა გამოწვნილი, რომ იქ თქვენი ნაშრომი რამდენჯერაც გინდათ გადახაზოთ და თავიდან დაიწყოთ ამოხსნა, მაგრამ პასუხების ფურცელში, სადაც გადაათვრებთ, უკვე გამართული ტექსტი უნდა დანერტო, ისეთი ტექსტი მაინც, რომელიც ნაკითხვადი იქნება. მათემატიკაში, მოგეხსენებათ, ამა თუ იმ ფორმულის გადახაზვა პრობლემა არ არის, ამისთვის თქვენ ქულა არ დაგაკლდებათ, მაგრამ იმდენი არ უნდა გადახაზოთ, რომ ნაკითხვა შეუძლებელი გახდეს. ეს ორი დავალება ამის სადემონსტრაციოდ წარმოგიდგინეთ. 36-ე დავალება ტექსტური დავალებაა, ამას კიდევ არა უშავს, 33-სთან შედარებით, თუმცა, სასურველია, რომ, როდესაც გადათვრებთ მიდგება საქმე, უფრო აკურატულად და კარგად შეასრულოთ გადათვრების პროცედურა.



განსაკუთრებული პრობლემაა ჩვენი აბიტურიენტებისთვის და ზოგადად, სკოლისთვის გეომეტრიული ნახაზების აგება (საზოგადოდ, გეომეტრია). ეს სხვადასხვა კვლევაშიც დასტურდება. ამას წინათაც ჩატარდა კვლევა და ჩვენმა გონსწავლებელმა, მათემატიკიდან, ყურადღება უნდა ნაწილად გეომეტრიული ნაწილი მიიჩნიეს. ახლა გიჩვენებთ 38-ე დავალებას:



ამას მარტო გამსწორებელი კი არა, ვერაინ ვერ გაიგებს, რა არის აქ გამოსახული. აბიტურიენტი აქვს მცდელობა, გამოსახოს პირამიდა, თითქოს ეს სამკუთხა პირამიდაა, რომელიც სინამდვილეში, თუ ნახაზს დაუჯერებთ, წარმოადგენს რომბს. ძალიან დიდ პრობლემად რჩება სტერეომეტრიული ნახაზების შესრულება, უჭირთ ჩვენს აბიტურიენტებს. როგორც ჩანს, სკოლაში არ ექცევა სათანადო ყურადღება ამ მასალას, ზოგადად გეომეტრიას და შემდეგ ეს სავალალო მდგომარეობა გამოცდაზე შესრულებულ ნაშრომებში აისახება. ჩემი დაბეჯითებული თხოვნაა, როდესაც გეომეტრიულ ნახაზებს შეასრულებთ, ძალიან დაკვირვებულად და კარგად წარმოადგინოთ, ისე, რომ გამსწორებელს შეეძლოს იმის აღქმა, რისი გადმოცემა გინდოდათ ამ ნახაზით.

აი, შემდეგი ორი დავალება, ასევე სტერეომეტრიული (გეომეტრიული). აქ რა ხარვეზია? აბიტურიენტები არ აანალიზებენ ამოცანის პირობას.

**37.**

$AB = \sqrt{3^2 + 4^2} = \sqrt{12} = 2\sqrt{3}$   
 $CK = \sqrt{4^2 - 3^2} = 1$   
 $\angle CKA = 60^\circ$

**38.**

$AC = 15$   
 $BC = 3$   
 $AO = BO = CO = 1$   
 $\angle ABO = \angle BOC = \angle COA = 120^\circ$   
 $AO = 15$   
 $BO = 3$   
 $CO = \frac{1}{2} \cdot \frac{15}{3} = \frac{5}{2}$   
 $\angle AOC = \frac{120^\circ}{2} = 60^\circ$   
 $\angle BOC = \frac{120^\circ}{2} = 60^\circ$   
 $\angle AOB = \frac{120^\circ}{2} = 60^\circ$   
 $\angle AOC = 60^\circ$   
 $\angle BOC = 60^\circ$   
 $\angle AOB = 60^\circ$   
 $\angle AOC = 60^\circ$   
 $\angle BOC = 60^\circ$   
 $\angle AOB = 60^\circ$

პირამიდა თითქოს შედარებით კარგად ხატია, გარჩევადია, მაგრამ ამ ამოცანის ტექსტი შემდეგი იყო – სამკუთხა პირამიდის ფუძე არის მართკუთხა სამკუთხედი, რომლის კუთხეები არის მოცემული 3 და კვადრატული ფესვი 3-დან, ასევე, ცნობილია ამ ამოცანაში, რომ პირამიდის ყველა გვერდითი ნიბო ერთმანეთის ტოლია და უდრის 2 სანტიმეტრს. ამოცანა გვავალებს, ვიპოვოთ ამ პირამიდის ნიბოების მიერ ფუძის სიბრტყესთან შედგენილი კუთხე. აქ ორი ნაწერია წარმოდგენილი, ერთმანეთის ქვემოთ. ვხედავთ, რომ პირამიდის წვერო, ავტომატურად, დაგვეგმილეს პირამიდის ფუძის შიგნით, შუა წერტილში, სადაც, მაშინ როდესაც, კარგად რომ გაეანალიზებინათ ეს ტექსტი და ამოცანის პირობა, შეამჩნევდნენ, რომ პირამიდის წვერო, ამ პირობებში, გვე-

აბიტურიენტთა დასახმარებლად

მიღდება ფუძეზე შემოხაზული წრეწირის ცენტრში. რადგან ფუძეში მართკუთხა სამკუთხედი, მასზე შემოხაზული წრეწირი, რასაკვირველია, ჰიპოტენუზის შუა წერტილში მდებარეობს და სწორედ ამან გამოიწვია ის ხარვეზები, რომელიც ამოხსნაშია დაშვებული. პირველ ამოცანაში, რომელიც უფრო ზემოთ არის განთავსებული, ჩანერის პრობლემაცაა - აბიტურიენტმა დაანერა, რომ კათეტი CD არის კვადრატული ფესვი 3-დან, როგორც ტექსტშია მოცემული, მაგრამ შემდეგ, რადგან SK პირამიდის სიმაღლესთან ახლოს მდებარეობს, უცებ ჩათვალა, რომ SK-ს ტოლია, ანუ რადგან ჩანერა არ იყო აკურატული და კარგად გაფორმებული, ამან შემდეგი შეცდომა გამოიწვია.

ჩვენი რჩევა ასეთია, სტერეომეტრიული ნახაზები ააგეთ აკურატულად, წინასწარ მოიფიქრეთ ნახაზის დეტალები, მაგალითად, სად ეცემა ამ დროს პირამიდის სიმაღლე - პირამიდის ფუძის შიგნით, პირამიდის ფუძეზე შემოხაზული წრეწირის ცენტრში თუ ფუძეში ჩახაზული წრეწირის ცენტრში ან რომელიმე სხვა წერტილში. ზოგჯერ, ამოცანის ამოხსნისას, გამოტოვებულია ამოხსნის გარკვეული ეტაპი და, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მითითებულია საძიებელი ან შუალედური სიდიდის მნიშვნელობა. ამის სადემონსტრაციოდ აქ კიდევ ორი ამოცანაა წარმოდგენილი.

37.  $3x + 4y = 15$   
 $2x + 3y = 10$   
 $AD = OK = 4$   
 $K:3$

38.  $2x - x = 1.5$   
 $x = 1.5$   
 $2 - x + 6 = 7.5$   
 $x = 1.5$   
 $2 - x + 3.6 = 3.6$   
 $x = 1.5$

39.  $2x - 3z = 5x - 1$  გნელოვს მანძილი ხომ აქედან  $2 < 0$

მაგალითად, პირველ ამოცანაში, №37, აბიტურიენტს მოცემული აქვს წრფე, წრფის განტოლება, მან ეს მოცემულობაში ჩანერა და ეს წრფე ეხება წრის სექტორს, რომლის ცენტრი მდებარეობს კოორდინატთა სისტემის სათავეში, უნდა ეპოვა წრის რადიუსი. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დაწერა, რომ რადიუსი არის 3 ერთეულის ტოლი. სინამდვილეში, ეს ამოცანა რომ ამოვხსნათ, რადიუსი მართლაც 3 ერთეულის ტოლია და მან, სავარაუდოდ, ეს სავარაუდო ფურცელზე შეასრულა, მაგრამ არ გადმოიტანა თეთრ ფურცელზე. ამ დროს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, მეგობრებო, რა გზით მიხვედით პასუხამდე. სავარაუდოდ ფურცლები გამოსწორებულს არ მისდის, ეს მხოლოდ თქვენთვის არის გამოყოფილი, რომ ამოცანის ამოხსნელად სხვადასხვა გზა მოსინჯოთ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაათვალიეროთ. თეთრი ფურცლები სწორდება იმიტომ, რომ შავი ფურცლების გასწორება შეუძლებელიც კი არის, იმდენად გადახაზული და სხვადასხვა პრობლემის მატარებელია. **დაბეჯითებით გთხოვთ, გადათვრიებისას, არ დაუშვათ ისეთი ლაფსუსი, როგორც ამ აბიტურიენტმა დაუშვა. სავარაუდოდ, მან სწორად ამოხსნა რადიუსი, მაგრამ არ გადმოიტანა ეს გზა თეთრ ნაწერში და ყოველგვარი მსჯელობის გარეშე დაწერა, რომ რადიუსი უდრის 3-ს.**

იგივე ეხება ქვემოთ მოთავსებულ 34-ე დავალებას. ეს ტექსტური დავალება და აქაც პირდაპირ ჩანს, რომ პირველი წერტილი არის x, მეორე წერტილი - x + 6, მესამე წერტილი - x + 36, ამის შემდეგ არავითარი განტოლება არ არის შედგენილი, არავითარი მსჯელობა არ ახლავს, უბრალოდ ჩამოწერილია პასუხები: პირველი წერტილი - 1, 5 და ა.შ. ეს პასუხები კიდევ რომ იყოს სწორი, როგორც გითხარით, ინსტრუქცია მოითხოვს ლოგიკურად გამართული მსჯელობის შედეგად მიღებულ პასუხებს და შესაბამისად, შეფასება იქნება 0 ქულა. ამიტომ, ჩვენი რჩევაა, თქვენი ნაზრები და ქმედებები გადმოვიცით ნათლად და თანმიმდევრულად, მკვეთრი ნახტომების გარეშე. მკითხველისთვის ნათელი უნდა იყოს თქვენ მიერ ჩატარებული ამოხსნის გზა და გამოთვლები. ნაწერიდან უნდა ჩანდეს, როგორ მიიღეთ ამა თუ იმ სიდიდის მნიშვნელობა.

კიდევ ერთი ხარვეზი, რომელიც ასევე ხშირად გვხვდება და მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო. 31-ე დავალება პარამეტრული დავალებაა, ოღონდ პირველი რიგის განტო-

ლება. რატომღაც აბიტურიენტები მათემატიკური ობიექტის ამოცნობას იმდენად დიდ ყურადღებას არ აქცევენ, რადაცას მიახლოებენ და შემდეგ იყენებენ მათთვის ცნობილი სიტუაციისთვის დამახასიათებელ სიდიდეებს. მაგალითად, თუ საკითხი ეხება სამკუთხედს, ახსენდება პითაგორას თეორემა და რატომღაც თვლიან, რომ ეს სამკუთხედი მართკუთხაა და ცხადია, თუ მართკუთხა არ არის და დანერ პითაგორას თეორემას, სასურველ შედეგს ვერ მიიღებ.

31.  $2ax - 3b - (5x - 1) = 0$   
 $2x = 9 + 8x(5x - 1) = 9 + 40x^2 + 8x$   
 $40x^2 - 8x + 9 < 0$   
 $D/4 = 16 - 360 = -344$   
ეს უარყოფითი სწრაფი ნიშნის მქონე კვადრატული განტოლებაა, ამიტომ  $2ax - 3b - (5x - 1) = 0$  განტოლების მანძილი ხომ აქედან  $2 < 0$

აქ, რატომღაც, ამოცანის ამოხსნის ავტორს გაახსენდა, რომ კვადრატულ განტოლებას ახასიათებს დისკრიმინანტი და თუ დისკრიმინანტი 0-ზე ნაკლებია, სკოლიდან იცის, რომ მას არ გააჩნია ამოხსნის ნამდვილი რიცხვები (ცხადია, ნამდვილი რიცხვების მეტი სხვა არ იციან სკოლაში), ამიტომ წერს, რომ დისკრიმინანტი უნდა იყოს 0-ზე ნაკლები. ამ დროს, ეს არის წრფივი განტოლება და არავითარი დისკრიმინანტი აქ განმარტებული არ არის. ამიტომ, ჩვენი რჩევაა, ყურადღებით გაეცანით ამოცანის პირობას, სწორად ამოიცანით პირობაში მოცემული მათემატიკური ობიექტები და ამოცანის ამოხსნის პროცესში გამოიყენეთ შესაბამისი მათემატიკური დებულებები და ფორმულები.

აი, ეს იყო სულ, ძვირფასო აბიტურიენტებო, რისი თქმაც მინდოდა. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი რჩევები დაგეხმარებათ, უკეთ შეასრულოთ მათემატიკის ტესტი 2021 წელს და არ დაუშვით თქვენი შედეგები, რომლის შესახებაც დღეს ვისაუბრეთ. გისურვებთ წარმატებას, სტუდენტობა მოგველოცოს სექტემბრის თვეში!

წლიური კონკრეტული გამოცდისათვის

# ემოციური თხრობით გადაჭარული მეთოდოლოგიური ელემენტები

ერთ ისეთ მასწავლებელზე უნდა გიამბოთ, რომლისგანაც, შესაძლოა, ყველა დროში ისწავლო. ჩვენი პირველი შეხვედრა დისტანციური იყო. მე მისი საგნობრივი მხარდაჭერი ვარ, ის კი მსმენელია. ნაირა ჭიტაძე საჩხერის ერთ-ერთი სოფლის ქართულის მასწავლებელია და, როგორც თავად ამბობს, სოლიდურ ასაკშია.

ზოგადად, ნელ-ნელა იხსნება ის ბარიერი, რაც სამინისტროს თანამშრომელსა და სკოლის პერსონალს შორის იყო. „ახალი სკოლის მოდელი“, ბევრ სიკეთესთან ერთად, სკოლებთან მიმართებაში ეს „დიდი მზღვარი“ ნაშალა. ვფიქრობ, პედაგოგები უკვე აღარ განიცდიან სკოლაში მისული „უცხო“ სტატუსს, როგორც მაკონტროლებლისას. დისტანციურმა რეჟიმმა მასწავლებლებს მკაფიოდ აჩვენა, რომ „საიდანაძე მოსაუბრე“ სამინისტროსგან დასაქმებული პირები მაქსიმალურად ცდილობენ ადამიანური დამოკიდებულებების შენარჩუნებას.

მკითხველს წინასწარ ვაფრთხილებ, რომ ამ წერილში მეთოდოლოგიური ელემენტები გადაფარული იქნება ემოციური თხრობით.

ნაირა მასწავლებელი, პირველივე დღეებიდან, ფრთხილად სვამდა კითხვებს, რადგან მისი აზრით, დასაფიქრებელია, როცა სოლიდური ასაკის ხარ და უცებ უხერხული არაფერი თქვა. ბევრი ახალი ტერმინი შემოვიდა მასწავლებლის პრაქტიკაში, სწრაფად მათი გააზრება და შესისხლსორცება ძნელია. ონლაინ შეხვედრის დროს საგნობრივი შინაარსის კითხვებიც იყო, მერე - მეთოდოლოგიური, ვებინარების დასრულების მერე - საათობით სატელეფონო საუბარიც. განვიხილეთ ისეთი საკითხები, რომლებიც თავიდან ნაირას პროფესიიდან გასვლაზე აფიქრებდა, მერე კი რადიკალურად შეიცვალა პოზიცია: „ეს კონსტრუქტივიზმი ძალიან კარგია, მე ასე უნდა ვიმუშაო. ასეთები მიკეთებია ეპიზოდურად, სტიქიურად, მაგრამ მინც შედეგიანად. ახლა მწყობრად დგება ყველაფერი, მოსწავლეებთან ერთად უნდა ნავედ წინ. ასაკზე აღარ უნდა ვილაპარაკო, მოსწავლეების თანამედროვე უნდა გავხედ. შემეძლება? გამოვასწორებ. თუ რაიმე სტრატეგია მექნება ასარჩევი, აუცილებლად დაგეგმილები. იოლი, სახალისო და ეფექტიანი გზები უნდა მოვძებნო. კომპლექსური დავალების პირობა, საკვანძო შეკითხვები, ცნებებისა და თემების მკვიდრი წარმოდგენები, ცნებათა პედაგოგიკა, განმავითარებელი შეფასება, კრიტიკიუმი ჩემს პრაქტიკაში სულ არსებობდა, უბრალოდ, სახელები არ მქონდა დარქმული. სოლის დონეებიც ყველა დროს მხედებოდა კლასში, ახლა ამ დონეებს განმავითარებელ შეფასებას ვუხამებ და ბავშვებს მეტად მოსწონთ სასწავლო პროცესი...“

ორსაათიანი ვებინარები აუცილებლად სრულდებოდა მოკრძალებული თხრობით: ბატონო როლანდ, ვებინარის მერე დაგირეკავთ, თუ შესაძლებელია? დარეკვა, ცხადია, შესაძლო იყო და ვესაუბრებოდი კიდევ. ასე დაგვეგმეთ ჯავახიშვილის „ემმაკის ქვის“ სწავლება, მერე კლდიაშვილის „სოლომან მორბელაძეს“ შევეჭიდეთ. სოფლის სკოლის მერვე კლასში, სადაც 20-ზე მეტი მოსწავლეა, ნაირა მასწავლებელმა შეიტანა რთული დავალების პირობა. მოთხრობა უნდა გა-

დაკეთებულიყო პიესად. დავალების პირობა ასეთი იყო: „წარმოიდგინეთ, რომ ხართ დრამატურგი და კლდიაშვილის მოთხრობა გადააკეთეთ პიესად. პიესის წერისას გაითვალისწინეთ დრამატული ნაწარმოების მახასიათებლები, შეინარჩუნეთ იდეურ-თემატური ხაზი და პერსონაჟთა მახასიათებლები. დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაცია.“

დავალემა, ზედმეტ-ნაკლები ხარისხით, შესრულდა კლასში. მთავარი ის იყო, რომ კლასს მოტივაცია ჰქონდა. უმეტესობამ მულტიმეტრული დონეზე წარმოადგინა დავალება, თუმცა, ეს არც ისე ცუდის ნიშანი იყო. იმ დროს მეც მივედი ჩიხის საჯარო სკოლაში და შეხვედი მერვეკლასელებს. მასხოვს ის, რომ კლასში გოგონებისა და ვაჟების ვაფართოებული თვალეტი მიმზრდნენ, იყო დაძაბულობაც, მაგრამ მაღლე ეს გაუცხოებაც დაგამარცხებ. ნაირა მასწავლებელს ვთხოვე, საგაკვეთილო პროცესი ჩემთვის დაეთმო. იდეების გენერირების უფლებამომცემულმა პატარებმა ბევრი საინტერესო აზრი გამოთქვეს. საბოლოოდ შევეჯერდი პროექტის განხორციელებაზე.

საგანმანათლებლო პროექტის ჩონჩხი სასწრაფოდ, გონებრივი იერიშით შეიქმნა და, პირობითად, ვუნდოდა „დრამატურგია და თეატრი განათლებისათვის“. სამოქმედო პერიოდს მარტსა და აპრილს მოიცავდა, ყველა ნიუანსი იქნა გათვალისწინებული, მათ შორის ისიც, რომ მშობლებს ნება დაერთოთ მოსწავლეთა იდენტიფიცირებაზე... ბუნებრივია, პროექტის კოორდინატორად შეირჩა ჩიხის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნაირა ჭიტაძე. პროექტის ფარგლებში, უნდა მომზადებულიყო კლასის მერე შეჯერებული სცენარის ერთი ვერსია, მერე - ინსცენირება და პროექტის შეფასება.

პროექტი ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნა პროექტის მხარდაჭერებისგან (მხარდაჭერების კატეგორიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, დამფინანსებელთა ვინაობა ფართო წრისთვის ინკოგნიტოდ დარჩა). პროექტის ამოცანებიც განსაზღვრული იყო:

- სკოლაში სასწავლო პროცესზე ორიენტირების ხელშეწყობა;
  - მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა;
  - კრეატიული უნარების ხელშეწყობა;
  - საკომუნიკაციო უნარების პროგრესირება;
  - წერისა და ზეპირმეტყველების კულტურის განვითარება.
- ნაფიქრი იყო მოსალოდნელ შედეგზეც. პროექტის ფარგლებში უნდა მომხდარიყო:
- მოსწავლეთა აკადემიური პროგრესირება;
  - სკოლის ცნობადობის ამაღლება;
  - სასკოლო ცხოვრების სტიმულაცია;
  - მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა.

დაგვეგმილი ყველა აქტივობა განხორციელდა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჭიათურის დრამატულ თეატრში გოდერძი ჩოხელის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლის ნახვა და შეფასება.

ვისაც ქართული თეატრის ისტორიის შესახებ აქვს ინფორმაცია, იცის, რომ ჭიათურის თეატრს განსაკუთრებული ისტორია აქვს. გარდა იმისა, რომ თეატრის შენობა ისტორიულია და



მოსატულია რობერტ სტურუას (მამა) მიერ, ასევე, ცნობილია მუდმივი პროფესიული დასის სიძველითაც (რიგით მესამე საქართველოში). მოსწავლეებს სპექტაკლამდე გაესაუბრა თეატრის დირექტორი ნანა წერეთელი, გააცნო თეატრის ისტორია, კულტურული საზოგადოების ცხოვრებაში თეატრის მნიშვნელობა და მოსწავლეებმა, რეგულაციების სრული დაცვით, უყურეს მათთვის გამართულ სპექტაკლს (პრემილია შექმნილი იქნა ჩიხის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეებისთვის).

წარმოდგენის დასრულების მერე, იკითხებოდა მოსწავლეთა თვალეტი და ნაწინაა, რომ დასრულდა მათთვის ერთი ლამაზი სანახაობა... ბავშვებმა დაბატონებული (ეს სიტყვა საოცრად მოუხდა სპექტაკლის ზეგავლენის გამოხატვას) განწყობით ტელევიზიასაც მისცეს კომენტარები, სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს და თავადაც სასკოლო ღონისძიებისათვის მოემზადნენ. მაყურებლის როლიდან ბევრი რამ ისწავლეს ისეთი, რაც ინსცენირებისთვის გამოადგებოდა...

პროექტის აღწერაში ვკითხულობთ: „პროექტი დასრულდა 2021 წლის 28 აპრილს. დასკვნითი აქტივობა იყო ინსცენირება, რომელიც სასკოლო თემის მერე დადებითად შეფასდა. ინსცენირებაში მონაწილეობდნენ: ნიკოლოზ აბრამიშვილი - სოლომანი, მარი სალიმიანი - ვეროსინე, მარი ქველაძე - პლატონი. მოსწავლეთა და მათი მშობლების კმაყოფილების ხარისხი მაღალია. ინსცენირების მონაწილეების ვიდეოვერსია ატვირთულია იუთუბზე და ფოტოები გამოიფინა სასკოლო სტენდზე.“

შესაძლოა, მოკლე ჩანაწერებმა გამოიწვიეს სოლიდური ასაკის მასწავლებლის როლი და თავდადება დღევანდელ სკოლაში? ბუნებრივია, ეს ვერ მოხერხდება... ნაირა ჭიტაძე კი ბედნიერია იმით, რომ მოსწავლეებს ბევრი ლამაზი დღე აჩუქა. თან სულ იმას ვამბობთ, რომ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ საინტერესო, დინამიური სასწავლო პროცესი, რომელშიც ოსტატურად ჩავაშენებთ საგნობრივ შინაარსსა და გრძელვადიან მიზნებს.

ნაირა მასწავლებელმა ეს შეძლო. მერე რა, რომ სოლიდური ასაკისაა. სოლიდური ასაკი გამოცდილებია. ნაირა კი ის მასწავლებელია, რომელსაც შეუძლია წარსულიდან წარმატების ფორმულები მომავლის ინოვაციურ პერსპექტივებს დაუკავშიროს!

დისკუსია

# 12 მაისს, საკუთარ ფიზიკურებზე, გია მურღულიამ გამოაქვეყნა სტატუსი – რა არის ე.წ. „ახალი სკოლის“ დამკვიდრების მთავარი იდეა და მასთან დაკავშირებული სარგებელი ან საფრთხე?



ცნებების გააზრებაზე ორიენტირებული სასწავლო (მითუმეტეს – აღმზრდელობით) პროცესის გაფხვიერება და ამგვარ განწყობაზე დაფუძნებული მეთოდის „ერთადერთობისა“ და უმაღლესი დიდაქტიკური ნიშნით დამკვიდრება დიდი შეცდომაა – არც ერთი საგანმანათლებლო იდეის გააბსოლუტება

### პასუხი ბატონ გია მურღულიას

ბატონო გია, როგორ გული დამწყვიტეთ – ამდენი საინტერესო გადაცემა მიუძღვნით ახალი სკოლის მოდელს, მის განხილვას მთლიანად დაუთმეთ თქვენი ორგანიზაციის ჟურნალის ერთ-ერთი ნომერი და შესანიშნავი წინასიტყვაობაც დაურთეთ! მიხაროდა, რომ თქვენი სახით ავტორიტეტული გულშემატკივარი ჰყავდა ახალ სკოლას...

თქვენი ფიზიკურებზე გუშინდელი პოსტიდან ვიგებ, რომ დიდ გაუგებრობაში ვყოფილვართ! სამწუხაროდ, როგორც ჩანს, თქვენს გულსა და გონებაში ვერ მივიტანეთ ახალი სკოლის პედაგოგიკის არსი!

მოვიხმობ თქვენი პოსტიდან რამდენიმე ამონარიდს და მათ შუქზე ვეცდები წარმოქმნილ გაუგებრობათა გაფხვიერებას. პოსტში წერთ:

„სწავლისა შეცნობის მომენტს სწორედ ფრაზა ქმნის, რომელიც, ცხადია, ცნებებისგან შედგება, მაგრამ არ არის მათ მნიშვნელობათა უბრალო არითმეტიკული ჯამი.“

„ყორღანებიდან გნოლი აფრინდა“; არ არის ამ სამი ცნების უბრალო მიმატება – არც „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“. ფიქრის სული ფრაზაში ჩანს და არა ცნებაში“ (ხაზგასმა ჩემია).

როგორ მივიდა საქმე იქამდე, რომ საგნობრივი სამიზნე ცნებები გააიგივებინა წინადადებების ცალკეულ სიტყვებთან? გაუგებრობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ თუ ხუმრობად ჩავთვალოთ? (ოღონდ არ ვიცი, ერთად ვიტიროთ თუ ერთად ვიცინოთ?). თქვენ მიერ დამოწმებულ ციტატაში მოყვანილი ცალკეული სიტყვები – ყორღანი, გნოლი, აფრინდა – კი არ წარმოადგენს საგნობრივ სამიზნე ცნებებს (ეს რამ გაფიქრებინათ!), არამედ **ლექსის კომპოზიცია**.

რას გულისხმობს სამიზნე ცნებაზე „ლექსის კომპოზიცია“ მუშაობა ახალი სკოლის მოდელის პედაგოგიკაში? ამ ცნების განმარტების დასწავლას? არამც და არამც! ეს გულისხმობს მრავალი ლექსის „დაგემოვნებას“, მრავალი წინადადების „დაგემოვნებას“ (უკაცრავად ტავტოლოგიისთვის) და ამ გამოცდილებაზე დაფუძნებით იმის აღმოჩენას, თუ როგორ, რა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებით გამოხატავენ პოეტები მთავარ სათქმელს; როგორ ზემოქმედებენ ისინი მკითხველის განცდებასა და ემოციებზე... ასე რომ „სამიზნე ცნება“ ერთი განცალკევებული სიტყვა არ არის, მას ასე ათასობით წინადადების მოცველი „სანახები“ აქვს, ხოლო ცნებაზე მუშაობა ცალკე მდგომ სიტყვაზე მუშაობას კი არ გულისხმობს, არამედ, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ლექსებსა და წინადადებებში „ფიქრის სულის“ აღმოჩენას.

სამიზნე ცნება „კომპოზიცია“ გრძელვადიანი ორიენტირია მასწავლებლისთვის. ამ ცნებაზე მიმართული სამუშაოს ფარგლებში იგი მოსწავლის გულისყურს მიმართავს იმაზე, თუ რა ქმნის ამა თუ იმ ლექსის კომპოზიციურ მთლიანობას, როგორ უკავშირდება ერთმანეთს თემა, მთავარი სათქმელი, მხატვრული საშუალებები, რა მიმართებებია მათ შორის... ამ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებით მასწავლებელი მოსწავლეს ჩამოუყალიბებს „გონებრივ ლინზებს“, რომლებზეთაც იგი შეძლების დანიშნულ ლექსის კომპოზიციური ელემენტების დინამიკური ერთიანობა, განაზოგადოს მათი შესწავლით მიღებული ცოდნა-გამოცდილება და დაეუფლოს ამ ცნების „სანახებს“ – გახდეს ლექსის, როგორც ასეთის, კარგი მკითხველი. როგორც ხედავთ, ახალი სკოლის მოდელის პედაგოგიკაში სამიზნე ცნება ფიქრს კი არ ანაწევრებს, არამედ ამოტიანებს!!!

რამ გაფიქრებინათ, რომ დაქუცმაცებულ, უკონტექსტო, მოსწავლისთვის უშინაარსო სიტყვებს ვასწავლით?

აღბოთ, ეს გაფიქრებინათ ცოდნის რეპროდუცირებაზე

არ ვარგა. მხოლოდ უნივერსალური მიდგომა და ხედვა ამართლებს. ამ უნივერსალურშიც ნამდვილად მთავარი უნდა დავინახოთ.

ცნებათა გააზრების მნიშვნელობას უძველესი დროიდან აცნობიერებდნენ. მაგალითად – სოკრატე. რაღაცის აღქმისა და შეცნობისას ის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა, თუმცა „საბოლოო მნიშვნელობას“ ვერ დაიბრალვებს.

განათლებისა და სწავლების სისტემაში ცნება დიდი თავადაია, მაგრამ მეფე და, მითუმეტეს, ღმერთი არ არის.

ასეთი მეფეა ფრაზა, წინადადება, აზრი. ეს კარგად ესმოდა, მაგალითად იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც სწავლება სწორედ ფრაზით, წინადადებით („აი ია“) დაიწყო და ამ პრინციპს ბოლომდე გაჰყვა.

ცნების გარეშე ფრაზა ვერ აიგება მაგრამ ერთი კანონზომიერება სრულიად ნათელია: ფრაზა ფიქრს ქმნის, ცნება ანაწევრებს.

სწავლისა შეცნობის მომენტს სწორედ ფრაზა ქმნის, რომელიც, ცხადია, ცნებებისგან შედგება, მაგრამ არ არის მათ მნიშვნელობათა უბრალო არითმეტიკული ჯამი. ცნებები ფრაზაში ერთმანეთთან კონტაქტით გარდაიხსებიან და ახალ სიტყვებს ბადებენ – რომელიც ცალ-ცალკე არც ერთ მათგანში არ არის.

„ყორღანებიდან გნოლი აფრინდა“ არ არის ამ სამი ცნების უბრალო მიმატება – არც „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხი-

დან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“. ფიქრის სული ფრაზაში ჩანს და არა ცნებაში.

აი, რას არ ითვალისწინებს „ახალი სკოლა“ და ეს მისი სერიოზული ნაკლია.

ცხადია, ამ ნაკლზე დაფუძნებული ნებისმიერი საგანმანათლებლო ხედვა, იდეა, მეთოდიკა თუ მოთხოვნა ასევე ხარვეზიანი და პრობლემურია.

არამართებული ფუნდამენტი მყარ და უსაფრთხო შენობას ვერ დაიჭერს.

საგანმანათლებლო სისტემის, სწავლებისა და აღზრდის „ცენტრალური ბგერა“ აზრი, ფრაზა, წინადადება უნდა იყოს და არა ცნება, რომელსაც მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

და კიდევ: რაღაცის აღქმა და შეცნობა არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ ემოციური აქტივია არის.

ემოციას არსებითად და სრულფასოვნად ფრაზა ბადებს და არა ცნება.

განათლების ქართულ სისტემას მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ და, ბუნებრივია, ვხედავ პოზიტიურ მხარეებსაც, მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს, რამ შეიძლება საბოლოოდ ეს წარმატება შექმნას და მოგვაპოვებინოს.

ცალმხრივ ხედვათა ნაძალადევი დანერგვით მას ვერ მივაღწევთ.



სა და უმაღლესი დიდაქტიკური ნიშნით დამკვიდრება დიდი შეცდომაა – არც ერთი საგანმანათლებლო იდეის გააბსოლუტება არ ვარგა. მხოლოდ უნივერსალური მიდგომა და ხედვა ამართლებს. ამ უნივერსალურშიც ნამდვილად მთავარი უნდა დავინახოთ“.

მოგახსენებთ, რომ ახალი სკოლის მოდელის კონცეპტუალურ ჩარჩოს, ერთი მხრივ, დიმიტრი უზნაძის საგანმანათლებლო ხედვა წარმოადგენს, მეორე მხრივ, კონსტრუქტივისტული პარადიგმის პრინციპები, რომლებსაც ქვემოთ შევხებით.

დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, სასკოლო განათლება ძირითად მიზნად უნდა ისახავდეს მოზარდებში ცნებითი აზროვნების განვითარებას, ცნებითი აზროვნების კულტურის ჩამოყალიბებას, რადგანაც ადამიანის აზრი მხოლოდ ცნებების საშუალებით სწავლება სამყაროს მთლიანობას, იგებს საგანთა მნიშვნელობასა და მათ მიმართებებს სინამდვილის სხვადასხვა ასპექტთან. ამავე მოსაზრებას გამოთქვამდა თავის დროზე ლევ ვიგოტსკი, შემდეგ – ბრუნერი და მისი მიმდევრები; დღეისათვის ცნება, როგორც აზროვნების უნივერსალური ინსტრუმენტი და ცოდნის კონსტრუქციისათვის უალტერნატივო პედაგოგიკური ინსტრუმენტი, საყოველთაოდაა აღიარებული განათლების მეცნიერებაში.

ამ ხედვის შესაბამისად, „ახალი სკოლის მოდელი“ თითოეული საგნის სწავლების გრძელვადიან (საფეხურებრივ) მიზნებად განისაზღვრა საგნობრივი, ეგრეთ წოდებული, სამიზნე ცნებები. ყველა საგნობრივი საკითხის სწავლა-სწავლება სწორედ ამ სამიზნე ცნებების ნიადაგზე უნდა განხორციელდეს და ემსახურებოდეს მათ სიღრმისეულად გააზრებასა და დაუფლებას – ცხადია, სწავლის პედაგოგიკით, კონსტრუქტივულ ორიენტირებულ პედაგოგიკით.

აღსანიშნავია, რომ ცნებითი აზროვნების განვითარების უმთავრეს პირობად უზნაძე „ობიექტივაცია“ს, ანუ გაცნობიერების ფაქტს მიიჩნევს. ამიტომაცაა, რომ ამ უკანასკნელს ქართველი მკვლევარი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს და თვლის, რომ ადამიანის წინსვლის, მისი სწრაფი კულტურული განვითარების საფუძველი სწორედ ობიექტივაციის უნარია; მაგრამ ობიექტივაცია, ანუ რაიმე მოცემულობის ცნობიერების საგნად ქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელია, თუკი ეს მოცემულობა პრაქტიკული გამოცდილების ნაწილს წარმოადგენს. აი რას ნერს იგი: „იმისთვის, რომ რისამე ცნობიერების საგნად ქცევა მოხერხდეს, მისი პრაქტიკული მოცემულობა უნდა იყოს შესაძლებელი; ის, რაც ჩვენთვის პრაქტიკულად არაა მოცემული, მისი გაცნობიერების შესახებ ზედმეტია ლაპარაკი; სწავლების დედაბერი სწორედ ისაა, რომ იგი ამ წინასწარ მოცემულობას ემყარება და მას მეორე მოცემულობად, ესე იგი, ცნობიერ მოცემულობად აქცევს.“

იმედია, ამოიცნობდით ახალი სკოლის მოდელს: კომპლექ-

დისკუსია

სური დავალებების პრაქტიკულად განხორციელების გზით მიღებულ პრაქტიკულ მოცემულობაზე დაყრდნობით ცნების არსობრივი ასპექტების გაცნობიერება.

საგნობრივ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული პედაგოგიკა სწორედამ რომ დანაწევრებული სწავლა-სწავლების საწინააღმდეგო პოლუსზე დაგას და მოსწავლეს ეხმარება, დაინახოს ნაწილებს შორის არსებული მიმართებები. მაგალითად, სამიზნე ცნება კომპოზიციის წვდომა მოსწავლეს დაეხმარება დაინახოს თითოეული ნაწარმოები, როგორც დინამიკური მთლიანობა და ეს წვდომა წინადადებების და წინადადებათა ერთობლიობების შეცნობის გზით ხორციელდება.

მეტიც, სამიზნე ცნებების პედაგოგიკის წყალობით მოსწავლე არა მხოლოდ აღმოაჩენს, არამედ თვითონაც ახდენს აღმოჩენილი ცოდნის შემოქმედებითად რეკონსტრუირებას იმ დავალებებში, რომლებსაც უხვად სთავაზობს მათ ახალი სკოლის მოდელი: მაგ., ლექსის შეთხზვა ტროპების გამოყენებით, მოთხრობის შეთხზვა, პერსონაჟის დღიური, ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ, წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟთან, მოთხრობის გაგრძელება, თხრობა მოთხრობლის შეცვლით, დიალოგი ტექსტებს შორის, ჟანრის შეცვლა და ა.შ. ამ დავალებებიდან კარგად ჩანს, რომ მოსწავლე – როგორც კოგნიტიურად, ისე ემპოტიურად – აქტიურადაა ჩართული იმ ფაქტებში, მოვლენებში თუ რეაქციებში, რომლებიც წარმოემართა წარმოდგენილი.

ამ მხრივ, სრულიად უადგილოა თქვენი შენიშვნა: „რალაციის აღქმა და შეცნობა არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ ემოციური აქტივ არის“. ახალი სკოლის მოდელის პედაგოგიკის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია მოსწავლის ემოციური ჩართულობის უზრუნველყოფა, რის გარეშეც მიწოდებული ინფორმაცია ვერაფრით გარდაიქმნება ორგანულ ცოდნად, პიროვნების შემადგენელ ნაწილად. მოსწავლის ემოციური ჩართულობის აუცილებელი პირობაა საგანმანათლებლო პროცესის მოსწავლის პირად გამოცდილებაზე დაფუძნება. ეს პრინციპი ზემოთ დასახელებული დავალებების სათაურებიდანაც კარგად ჩანს.

ფეისბუქის გუშინდელ სტატუსში ბრძანეთ: „არამართებული ფუნდამენტი მყარ და უსაფრთხო შენობას ვერ დაიჭერს“.

ახალი სკოლის პედაგოგიკის ფუნდამენტი სხვა არაფერია, თუ არა საყოველთაოდ აღიარებული ხუთი ძირეული საგანმა-

ნათლებლო პრინციპი. ისინი კოგნიტიური ფსიქოლოგიის სხვადასხვა განშტოების განვითარების შედეგად განისაზღვრა, როგორც აუცილებელი პირობა მყარი და საფუძვლიანი ცოდნის კონსტრუირებისთვის.

- ეს პრინციპებია:**
- 1. მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება: აქტიური სწავლა** – სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით საქმიანობას (კვლევა, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა და ა.შ.) და არა მის პასიური მსმენლის მდგომარეობაში ყოფნას; მოსწავლის ცოდნის სტრუქტურების ზრდის საფუძველი მისი შინაგანი აქტივობაა. ასე რომ, გონებაში ცოდნის სტრუქტურების ზრდა-განვითარება მოზარდის შინაგანი აქტივობის პირდაპირპროპორციულია.
  - 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით** – სწავლა-სწავლების პროცესში თანდათანობით, გამოცდილებაზე დაფუძნებით უნდა ხდებოდეს მოსწავლის მიყვანა ახალ ცოდნამდე; წინარე ცოდნა-გამოცდილება სწავლის ინსტრუმენტია. როცა მოსწავლეს ვთავაზობთ ისეთ კონტექსტებს, რომელიც არ შეესაბამება მისი ცოდნა-გამოცდილების სფეროებს, მას ვართმევთ ამ ინსტრუმენტებს და ვტოვებთ უსუსურ მდგომარეობაში, განაჩარალებულს. ასეთი მოსწავლე კარგავს ცოდნის შექმნის ბუნებრივ სურვილს.
  - 3. ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება** – სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უწყობს სამიზნე ცნების გარშემო ურთიერთდაკავშირებულ ცოდნათა აგებას (და არა დაქუცმაცებულ-დანაწევრებული ინფორმაციის მიწოდებას); აზროვნების სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა ცოდნათა კომპონენტები ურთიერთდაკავშირებული და ორგანიზებული. კომპეტენციას ქმნის არა ცოდნის ცალკეული კომპონენტები, არამედ ცოდნათა კომპონენტებს შორის მჭიდრო ინტერაქცია, ამ კომპონენტების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი (ცოდნათა ორგანიზება უზრუნველყოფს ცნებების პედაგოგიკა, რადგანაც ცნება აზრობრივი კონსტრუქტია, რომელიც განაპირობებს აზროვნების ორგანიზებას, სტრუქტურირებას).
  - 4. სწავლის სწავლა** – სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი უნდა კეთდებოდეს არა მხოლოდ რას სწავლობს მოსწავლე, არამედ – როგორ სწავლობს; მას უნდა შეეუწყოს ხელი,

ქალბატონ თამარ ჯაყელს

მოგესალმებით, ქალბატონო თამარ. დიდ თეორიულ ნიალსვლებს რომ არ მივეცეთ, რაც ბევრი ადამიანისთვის გაუგებარიც არის და მოსაწყენიც, თქვენი საჯარო მომართვის პასუხად მოკლედ გეტყობი:

1. ვწუხვარ, რომ გული დაგწყვიტეთ – ახლაც ვგულშემატკივრობ იმას, რაც მომწონს ახალი სკოლის ფარგლებში და თავადაც აღნიშნეთ, რომ რამდენიმე რადიოგადაცემაც მივუძღვენი და ჟურნალ „სკოლის მართვის“ მთელი ნომერიც. თუმცა „გულშემატკივრობა“ მუდმივად (და – არც არასდროს) ბრმა ალტაცებას არ ნიშნავს. „მოყვარეს პირში უძრახე“, ნათქვამია. საერთო საქმის წარმატებაზე ორიენტაცია სჯობს სხვაგვარს.

2. ჩემს, როგორც ბრძანებთ, „გულსა და გონებამდე“ ახალი სკოლის პედაგოგიკის არსმა (რომელშიც პრინციპულად ახალი მინიცდამაინც არაფერი არ არის – მისი ცალკეული ელემენტები, ცხადია, აქამდეც დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი) როგორღაც მოაღწია, მაგრამ ზოგიერთი რამ არ მომწონს და ეს საჯაროდ გამოვხატე. არავისგან ვკითხულობ, ამის უფლება მაქვს თუ არა. კრიტიკული ხედვა, რომელიც ამ „ახალ სკოლაშიც“ საკმარისად აქცენტირებულია და სკოლებში მის დაწერგვასაც მართებულად გვგმათ, მტრობად არ უნდა წარმოიდგინოთ და თავადაც მიიღოთ. მთლად ასე შეუმცდარადაც ნუ წარმოიდგენთ ვინმეს – საკუთარი თავის ჩათვლით (ობიექტურობისთვის მეც მაგ ნაგში ჩაჯვდება თქვენთან ერთად).

3. ის, რომ ცნებას თავისი სიღრმე და მრავალი განზომილება აქვს, ზედმეტად ასახსნელი არ არის. არც ის არის მიუღწეველი ჭეშმარიტება, რომ მოსწავლემ უბრალოდ მნიშვნელობები კი არ უნდა დაიზუთხოს, არამედ არა ერთი აქტიური ქმედებით საკუთარ გამოცდილებად აქციოს. ამაზე არავინ კამათობს, მაგრამ როცა ასეთ ელემენტარულ ჭეშმარიტებას მისხნით, ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ ხსენებულის საპირისპიროს ჩემს პოსტში არაფერს ვამბობ – ცოტა მეტი დაკვირვება და, ეს შეიძლება მოულოდნელად ნათელიც კი გახდეს. ე.წ. „სამიზნე ცნებები“, რომლებიც „ახალი სკოლის მოდელის“ ცენტრში დააყენეთ, სწორედ სიტყვებია („კომპოზიციაც“ სიტყვაც) და ასევე ესმით თქვენს „ქოუჩებსაც“ და ამ ახალი კულტურის სხვა დამწერგავებსაც. მაინც განვმარტავ: როდესაც „სიტყვას“ ვახსენებ, მისი მნიშვნელობის გამოვლი-

ნების ყველა შესაძლო განზომილებას ვგულისხმობ. ასევე მიგანიშნებთ, რომ ფრაზა სულ სხვა (და – უფრო მნიშვნელოვანი) რამ არის და ეს სადავო არავისთვის უნდა იყოს.

4. უკვე არა ერთხელ მიუთითებიათ, რომ არსებობს საზოგადოებასთან, კერძოდ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ბევრი ტრენინგი ჩატარდა, სკოლის ხელმძღვანელები და მასწავლებლები მუდმივად აცხადებენ, რომ დანერგვის კულტურის სერიოზული პრობლემა ჩანს – ადამიანებს მაინცდამაინც არ ესმით, რას და რა გზებით ნერგავენ. ამაში შეგიძლიათ კიდევ ერთხელ დარწმუნდეთ უამრავი მასწავლებლის გამოხმაურებით, რომლებიც მათ ჩემს მცირე პოსტს დაურთეს.

5. ასევე მიგანიშნეს პირადად თქვენ და სხვებსაც, რომ უკიდურესად რთული ენით ლაპარაკობთ და ხშირია აღქმისა თუ გაგების ნეგატიური პრეცედენტები. როდესაც რაღაცას, მიუხედავად – „ახალს“ და ასეთ მნიშვნელოვანს, ნერგავთ, ყველაფერი მაქსიმალურად სადად, გასაგებად, ნათლად და მკაფიოდ უნდა განმარტოთ და აუხსნათ მთავარ „მოქმედ პირებს“ – მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს, სკოლის ხელმძღვანელებს (დავამატებ: საკუთარ თანამშრომლებს და ე.წ. „ქოუჩებსაც“, რომლებიც ერთმანეთის გამომრიცხავი მსჯელობებით გვამახსოვრებენ თავს).

6. მოსწავლემ რაც უნდა „გემო გაუსინჯოს“ ლექსს (ამას ასე არასდროს დავწერდი) და „კონსტრუირებული ცოდნა ცნობიერების ღრმა შრეებში ფესვიანდებოდეს“ (არც ამას დავწერდი ასე, თუმცა, როგორც ჩემი და თქვენი საყვარელი ფრანგები ამბობენ: „სტილი ადამიანია“), თქვენგან ნახსენები სამიზნე ცნება „კომპოზიცია“ მაინც ვერ უპასუხებს სრულად იმ კითხვებს, რომლებიც ჩამოთვალეთ: „რა ქმნის ლექსს რასად? რა აქვს საერთო ლექსებს? რა არსებითი მახასიათებლები აქვთ მათ? როგორია ტექსტი, რომელსაც ლექსს უწოდებთ? რატომ ჰქვია ამ ტექსტს ლექსი? რა განაპირობებს ლექსის მთლიანობას? რა განაპირობებს ლექსის მიმზიდველობას?“ – ბევრი სხვა კითხვაც შეიძლება დასვას მასწავლებელმა და მოსწავლემაც – ყველაფერს წინასწარ ვერ განსაზღვრავთ და ვერ უკარნახებთ, როგორი პასუხები და რა გზებით შეიძლება გასცენ.

7. კითხვაზე, რატომ სვამთ ჩარჩოში მასწავლებლებს, თქვენ უპასუხებთ: „აი, რას ვიტყვი ამის თაობაზე: ოსტატობას წინ უძღვის შეგარდობის პერიოდი, რომელიც ეფუძნება საკმაოდ ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოცდილებას.“

რომ დაეუფლოს იმ საშუალებებს, რომლითაც ცოდნას განვითარებთ. სწავლაში მეტი მიღწევა იმას აქვს, ვინც ამ საშუალებებს ფლობს.

**5. ცოდნის სამი კატეგორია (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული)** – სწავლა-სწავლების პროცესში მხოლოდ თეორიული მასალის დამახსოვრებაზე კი არ უნდა კეთდებოდეს აქცენტი, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს პროცედურებსაც (როგორ გადავკეთო?) და თეორიული მასალის განსხვავებულ კონტექსტებში გამოყენებას, რა მოითხოვს არსობრივი ასპექტების შეცნობას.

ეს ის უნივერსალური პედაგოგიკური პრინციპებია, რომლებიც უზრუნველყოფს ცოდნის „მყარი და უსაფრთხო შენობის“ აგებას.

სწორედ ეს პრინციპებია ჩამენებული ახალი სკოლის პედაგოგიკასა და დიდაქტიკურ ინსტრუმენტებში. თქვენს პოსტში ამოვიკითხე საყვედური, რომელიც გაისმის აქა-იქ: „ჩარჩოში აქცევთ მასწავლებლებსო“!

აი, რას ვიტყვი ამის თაობაზე: ოსტატობას წინ უძღვის შეგარდობის პერიოდი, რომელიც ეფუძნება საკმაოდ ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოცდილებას. მასწავლებელს, რომელმაც არ იცის, როგორ უზრუნველყოს მოსწავლეში ცოდნის კონსტრუირება, ანუ არ იცის, როგორ დააფუძნოს თავისი პრაქტიკა ხუთ ძირეულ საგანმანათლებლო პრინციპზე, შეგარდობის პერიოდი აქვს გასაველი. ამ პერიოდში მას საუკეთესო მეგზურობას გაუწევს ახალი სკოლის მოდელი პედაგოგიკა. როცა მასწავლებელი, ამ მოდელით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ჩანვდება ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული პედაგოგიკის არსს, ის უკვე თავადაც გახდება ოსტატი, თავადაც შეძლებს ცოდნის „მყარი შენობის აგებას“ და ამის შემდეგ თვითონვე შეიმუშავებს მოდელს თავისი პრაქტიკისთვის. ზემოხსენებული ფუნდამენტური პედაგოგიკური პრინციპების დანერგვა-გაცნობიერება მხოლოდ ამ პრინციპების შემცველი პრაქტიკითაა შესაძლებელი.

დაბოლოს, განათლების სისტემაში მეფე არც ცნებაა, არც ფრაზა, არც აზრი, არამედ მოსწავლე და მისი „სამოქმედო ადრული ძალები“. დავასრულებთ დიმიტრი უზნაძის სიტყვებით, რომლებიც ეროვნულ სასწავლოს გვემას აქვს წამდღვარებული: „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა... აქვს განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას...“.

ბელს, რომელმაც არ იცის, როგორ უზრუნველყოს მოსწავლეში ცოდნის კონსტრუირება, ანუ არ იცის, როგორ დააფუძნოს თავისი პრაქტიკა ხუთ ძირეულ საგანმანათლებლო პრინციპზე, შეგარდობის პერიოდი აქვს გასაველი. ამ პერიოდში მას საუკეთესო მეგზურობას გაუწევს ახალი სკოლის მოდელი პედაგოგიკა. როცა მასწავლებელი, ამ მოდელით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ჩანვდება ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული პედაგოგიკის არსს, ის უკვე თავადაც გახდება ოსტატი, თავადაც შეძლებს ცოდნის „მყარი შენობის აგებას“ და ამის შემდეგ თვითონვე შეიმუშავებს მოდელს თავისი პრაქტიკისთვის. ზემოხსენებული ფუნდამენტური პედაგოგიკური პრინციპების დანერგვა-გაცნობიერება მხოლოდ ამ პრინციპების შემცველი პრაქტიკითაა შესაძლებელი.“ სწორედ ეს არის თქვენი პრინციპული განწყობა და სხვა შეცდომათა წყაროც. თქვენ თავი მიგაჩნიათ „მოძღვრად“, ხოლო მასწავლებლები – „შეგარდებად“, რომლებსაც წინ ნათელი გზები უნდა დაუგოთ და შემდეგ თავადაც შეძლებენ რაღაცის გაკეთებას – ოღონდ ახლა არა! ალბათ – ბუნდოვან მომავალში. ეს დამოკიდებულება ყველგან ჩანს: საჯარო გამოსვლებისას, ტრენინგებზე, ონლაინ შეხვედრებზე, სახელმძღვანელოთა შერჩევის პროცესშიც კი. სწავლა, ბუნებრივია, ყოველთვის შეიძლება, აუცილებელიც არის და, რომ იტყვიან, „სიბერემდეა“, მაგრამ თქვენ უნდა საუბრობდეთ არა „შეგარდებზე“, არამედ თანამოაზრეთა შემოკრება უნდა გქონდეთ მიზნად. აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა, პედაგოგის შემოქმედებითი პოტენციალის მუდმივი დაპროგრამება და გაუთავებელი კარნახი, რა და როგორ უნდა გააკეთოს, სრულიად მიუღებელია. დასახეთ ამოცანები, იქნებ მასწავლებელმა პრობლემის უკეთესი გადაწყვეტა მოიფიქროს, ვიდრე ის, რომელსაც უალტერნატივოდ სთავაზობთ და პირდაპირაც აძალებთ?

8. რაც უნდა უარყოთ, სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვის მეფე ფრაზაა. ოდენ აზრი ასწავლის, დანარჩენი ყველაფერი მხოლოდ მისთვის და მასთან ერთად მოქმედებს.

9. დაეხმარეთ, მაგრამ მასწავლებელს არჩევანი დაუტოვეთ, ქალბატონო თამარ.

ნება მომეცით, დაგარწმუნოთ ჩემს კეთილგანწყობასა და პატივისცემაში – მიუხედავად კამათისა თუ გაუგებრობისა, ვიცი და მწამს, რომ კეთილი განზრახვები გვაქვს და ერთ საერთო საქმეს ვემსახურებით.



ახალი სკოლის მოდელი

სტაფი სკოლაში

# მასწავლებელთა სახლი საბუნებისმეტყველო საგნების კვლევითი მხარდასაჭერად

## დავით სონღულაშვილის რეალურ-ვირტუალური გაკვეთილები

### ლალი ჯალაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, დაახლოებით ორი წლის წინ, საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერის პროგრამა დაიწყო, რომელიც აქცენტს სამი მიმართულებაზე აკეთებდა: დავით სონღულაშვილის პროგრამა „რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია“, რომელიც მასწავლებლებს დაეხმარება, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენონ მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდები და მათი დახმარებით, მოსწავლე, ინდივიდუალური ინტერესებისა და ასაკის გათვალისწინებით, პრაქტიკულ სამეცნიერო კვლევებში პროცესში ჩართონ; მინი-ლაბორატორიის (სახელოსნო) „ჩხირკაძე“; დამატებითი სივრცე, სადაც მასწავლებლები, მოსწავლეებთან ერთად, ცოდნის გაღრმავებასა და უნარ-ჩვევების განმტკიცებას ცდილობენ; საბუნებისმეტყველო ტურნირი – გუნდური შეჯიბრი STEM მიმართულების საგნებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების მხარდაჭერი პროგრამის მენეჯერია კახა ჟღენტი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი – ნუზარ მუსულიშვილი და პროგრამის კოორდინატორი – მაია ნაკაშიძე.

წელს, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა მხარდასაჭერად, მასწავლებელთა სახლმა კიდევ ერთი პროექტი წამოიწყო – დავით სონღულაშვილთან თანამშრომლობით, ფიზიკის კვლევებზე 6-თვიანი ტრენინგ-კურსი შესთავაზა. „პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, გარდა იმისა, რომ მათ ვასწავლო, როგორ გამოიყენონ ჩემი ლაბორატორია, ისიც არის, რომ დავეხმარო და ვასწავლო, თავად როგორ შექმნან საბუნებისმეტყველო რეალური, როგორ მოამზადონ მსგავსი პროგრამები, რომელსაც შემდეგ სასწავლო პროცესში დანერგავენ.“ – აცხადებს დავით სონღულაშვილი.

ტრენინგ-კურსის დეტალებზე სასაუბროდ გატონ დავით სონღულაშვილთან ვესტუბრში და მისი ექსპერიმენტების შემსწრე აღმომჩნედი. თითქმის ნამუშევარი ნაშრომი ჯღვარი რეალური და ვირტუალური სამყაროს შორის, თვალნათლივ დავინახე, როგორ შეიქმნა რეალური ვირტუალური ციფრული რეალობა და, იმავდროულად, მოცემული ციფრული რეალობის უნიკალური მოვლენების ვიზუალიზაცია. რთული ვისაუბრო რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიის შესახებ, რადგან ცხადია, დიფერენციალური ფიზიკა, გამომდინარე იმ ნაწილის ხელსაწყოებისა და ექსპერიმენტების ახსნა-შეფასება, თან არ გვინდა, რომ აკითხველით-ვის ჩემი მოსაზრება, ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო იყოს. მსოფლიო ერთი სიტყვით შემოვიფარგლები – შთაბეჭდილება!

როგორც ჩემი რესპონდენტი ამბობს, მისი რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია ერთ წუთში დაგარდაცემდა, რომ „ფიზიკა ყველგანაა“, რომ „ცხოვრება მთლიანად ფიზიკაა“ (ეს მათთვის, ვისთვისაც ფიზიკა ერთ-ერთი რიგითი სავალდებულო საგანია ეროვნულ სასწავლო გეგმის საგანთა ნუსხაში) და მეტიც, საგანს შეგავსებდა; არც იმ მიზნების პოვნას და გააზრებას დასჭირდება დიდი დრო – რატომ არ მოსწონთ მოსწავლეებს ფიზიკა და რატომ თვლიან, რომ უინტერესოა.

6-თვიანი პროექტის მიზანიც სწორედ ამ მიზნების დაკმაყოფილება და იმის გააზრებაა, როგორ გავზარდოთ მომხმარებლის ნაცვლად, შემოქმედი თარგმანი. ამისთვის კი, უპირველესად, მასწავლებლებისთვის იმ მიდგომებისა და ხერხების სწავლებაა საჭირო, რომელიც ჯერ თავად მათ გახდის საბუნებისმეტყველო რეალური შემოქმედების მასწავლებლებად და შემდეგ – მათ მოსწავლეებს. რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია ამის საშუალებას უზღვევს, აღვივლებს გაერკვე მოვლენებში და მოსწავლეებისთვის საინტერესო გახადოს სწავლება.

ზოგად საუნივერსიტეტო ვირტუალური მოდელირებისა და კონსტრუქციის ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი დავით სონღულაშვილი ინტერვიუში, ტრენინგ-კურსის გარდა, იმის შესახებაც ისაუბრებს, თუ რას ნიშნავს სტიმის სწორად გაგება და რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მიდგომებსა და ხერხებს სწავლების ხარისხის გაზრდაში.



– ბატონო დავით, დღეს საგანმანათლებლო სისტემაში სტემის განვითარებაზე საუბარი თანდათან იძენს აქტუალობას. ამის ფონზე კი, სწავლების ელექტრონული მეთოდები, ანუ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლება რეალურად არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია. რას ფიქრობთ, რა დოზითაა სტემი ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში?

– ყველა თანხმდება იმაზე, რომ განათლებაში სტემ სისტემის დანერგვა აუცილებელია, მაგრამ, პირველ რიგში, კარგად უნდა გაიაროს, რას ნიშნავს სტემი და რისთვის კეთდება ეს. ცხადია, სტემის სწავლება, პირველ რიგში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას უნდა დაეფუძნოს. სწავლების ყველაწილი ხერხი უნდა იყოს გამოყენებული იმისათვის, რომ ბავშვებმა შეძლონ ინტერესით შეხედონ პროცესებს, ანუ სასწავლო პროცესი აქტიურ ფაზაში გადავიყვანოთ და მოსწავლეებს სააზროვნო გარემო შევუქმნათ. მუდმივად ამას ვიმეორებ და თქვენც გეტყვით, რომ ფიზიკის სწავლების ძველი მეთოდები მოკვდა, ისეთი ფიზიკა აღარ არსებობს და, შესაბამისად, ახალ ეტაპზე უნდა გადავიდეთ. სკოლებში ფიზიკის დაბალ დონეზე სწავლებას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველ რიგში, ფიზიკამ დაკარგა მნიშვნელობა, იმიტომ რომ, ის მოქვეყნებულია გზა, რომელიც აქამდე გვაქვს არჩეული, უნდა შეიცვალოს, აზროვნების სექტორი სხვა მიმართულებებზე უნდა გადავიყვანოთ. თავისთავად ჩნდება კითხვა – მაშინ როგორ უნდა ვასწავლოთ? ფიზიკა არის რეალობა და არა ვირტუალურად რეალობის კეთება ან გაკვეთილის მოყვლა, ეს არაფერს არ ნიშნავს. მოსწავლე თუ გაკვეთილს მოყვება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ესმის, რასაც ამბობს. სწორედ აქ უნდა იყოს ყველაწილი ხერხი გამოყენებული იმისთვის, რომ მოსწავლე აქტიური გახდეს და თავად ჩაერთოს ექსპერიმენტში, დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მიეცეთ.

როგორ? მოდი, პირველად ვნახოთ რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიები, რასაც არ აქვს ანალოგი და ვერსად ნახავთ (ეს ჩემი პატენტია). პირველ რიგში, ეს არის უნიკალური მოვლენათა ვიზუალიზაცია – ჩვეულებრივი ლაბორატორიის პირობებში, წყალს ჩავასხამთ ჭიქაში, ცხადია, დავინახავთ, რომ ჭიქაში წყალია. შემდეგ ჩავყრით მარილს და სიტყვიერად ავუხსნით ბავშვებს, რა რეაქცია მოხდა ჭიქაში. სულ ეს არის. რეალურ-ვირტუალურ ლაბორატორიაში იმავე ცდის ჩატარებისას სულ სხვა რამეს დავინახავთ – ჩავასხამთ წყალს და და-

ვინახავთ წყლის მოლეკულებს, შემდეგ ჩავყრით მარილს და იმ რეაქციას ეკრანზე დავინახავთ, მოლეკულების დონეზე. მოსწავლეს რეალურად შეუძლია დააკვირდეს რასაც ვაკეთებთ, როგორ რეაქცია წავიდა, როგორ შეერია მარილის მოლეკულები წყლის მოლეკულებს, როგორ მოხდა პატარა აფეთქებები, რომლის შედეგად წარმოიშვა ნატრიუმ ქლორიდი; შემდეგ ჩავრთავ ძაბვას და გამოჩნდება, რომ წავა მიმართული მოძრაობა. ამ მიმართულებას ჰქვია რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიები, სადაც მე საშუალება მაქვს, ყველა ჩვეულებრივი ცდა ჩავატარო და დაგანახოთ მის შიგნით მიმდინარე პროცესები.

გავიმეორებ, რომ სხვა არის ვირტუალური ლაბორატორია, როდესაც ცდებს ვირტუალურ გარემოში განახორციელებ და სხვა რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც წლების წინ გვაკეთებდა და ამის შესახებ საგანმანათლებლო სივრცის წარმომადგენლებმა კარგად იციან. პატარა მოწყობილობით შეიძლება დავინახოთ, რა ხდება, მაგალითად, ელექტრონული ღრუბლის წარმოქმნისას, შიგნით, რა პროცესებისგან შედგება ფოტოფიქსის მოვლენა.

ასევე, გეტყვით ერთ-ერთი ექსპერიმენტის შესახებ, მაგალითად, როგორ შეიძლება წიგნის გაცოცხლება. როგორც წესი, გაკვეთილზე ტელეფონებს უკრძალავენ ბავშვებს, აქ პირიქით ხდება – უნდა მოიმარჯვონ ტელეფონი, დაასკანერონ წიგნი და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიის წყალობით, პროექტორზე გაცოცხლდება ნახატი, რომელიც წიგნში „მკვდარია“.

ასეთი უამრავი ცდაა, დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, რამდენიმე მაგალითი იმისთვის მოვიყვანე, რომ წარმოდგენა შევქმნათ (მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ არ სმენია და არ იცის დავით სონღულაშვილის რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიის შესახებ), თუ რას ნიშნავს რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

– მოდი, შევიხედოთ ჩვენს საკლასო ოთახებში, რა ხდება იქ – დღევანდელ საკლასო ოთახს თუ წარმოვიდგენთ, იმ გარემოს, სადაც ბავშვს უნდა სწავლა, იოლად მივხვდებით, რატომ არ უსმენს ის, მაგალითად, ფიზიკის მასწავლებელს. რატომ? ამაზე ძალიან მოკლე პასუხი მაქვს – იმიტომ, რომ მისთვის აღარ არის საინტერესო ის, რასაც მხოლოდ სიტყვით გადასცემ ან ზედაპირულად აჩვენებ. ასეთი სწავლების ეპოქა დამთავრდა, სულ სხვა მოცემულობაში გადავიდეთ, სხვა საუ-

კუნეა და იქ, სადაც მოსწავლეს ტელეფონი და ინტერნეტი აქვს, ცხადია, ძველი ყაიდის სახელმძღვანელოთი შემოფარგლული გაკვეთილები აღარ იზიდავს, აღარ ნაშრომდება. ეროვნული სასწავლო გეგმა ჯერ კიდევ არ ითვალისწინებს, როდის უნდა მოხდეს რეფორმა ამ მიმართულებით.

ფიზიკაზე დაწყებული ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემოა, მათ შორის ტექნოლოგიები. მთელი ჩვენი ცხოვრება ფიზიკაა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ერთობლიობა – ფიზიკა და მათემატიკა, ფიზიკა და ბიოლოგია, ფიზიკა და... თუმცა, ცენტრში მაინც ფიზიკაა. მაგალითად, თუნდაც სამედიცინო მიმართულებით რომ იმუშაო, იქაც ფიზიკაა მთავარი, რადგან ხელსაწყოები, რომელსაც ბიოლოგები იყენებენ, ფიზიკაა.

ამიტომ, ეს ლაბორატორიები სკოლებში უნდა იყოს დაწინარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ, გარკვეულ საფასურად, მათ უნდა გადმოიწერონ და ჩატვირთონ თავიანთი სკოლის კომპიუტერებში, ასევე, მოსწავლეებმა – ტელეფონებში. ბევრი სკოლა ყიდულობს როგორც საჯარო, ისე კერძოც, თუმცა, ჯერჯერობით, ლაბორატორიის სკოლების მცირე ნაწილი იყენებს.

– მასწავლებელთა სახლთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო, რა არის ამ პროექტის მიზანი და რა შედეგს ელოდებით?

– ჩვენი ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მსურველ პედაგოგებს ვატრენინგებ. აქ ბევრი მნიშვნელოვანი ნიუანსია. გარდა იმისა, რომ ვასწავლი, როგორ გამოიყენონ ჩემი ლაბორატორია, ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისიც არის, რომ დავეხმარო და ვასწავლო, თავად როგორ შექმნან საგანმანათლებლო რესურსი, როგორ მოამზადონ მსგავსი პროგრამები, რომელსაც, თავისთავად, სასწავლო პროცესში დანერგავენ. ამისთვის ავარჩიე ექვსთვიანი ტრენინგი. ჯერ სამი თვეა გასული, სულ 40-მა მასწავლებელმა გამოთქვა სურვილი, ბევრი ახლაც მთხოვს, რომ ჩავრთო ტრენინგების პროცესში, მაგრამ ახლებს ვერ მივიღებ, ვიდრე კურსი არ დასრულდება, რადგან უკვე ჩართული მასწავლებლები ბევრად წინ არიან წასული. ამ პროექტის მიზანი, ცხადია, სასწავლო გარემოში სტემ მიმართულების დანერგვაა. მასწავლებელთა სახლის სურვილია, სწავლება სტემ მიმართულებით განვავითაროთ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, სტემის სწავლება არ უნდა იყოს ხელოვნური, ზედაპირული, როგორც ამჟამად ხდება – როდესაც სტემზე ვლაპარაკობთ და ინტერნეტადან ვქა-



სტაფი სკოლაში

ჩავთ სხვის მიერ გაკეთებულს. ამით ხომ, თავისთავად, პლა-
გიატს ვაჩვენებთ ბავშვს – კობი ფეისბუქის საშუალებით, ის მზა
პროგრამას იწერს, აინსტალირებს და შემდეგ იყენებს, თან
ამბობს, რომ თვითონ გააკეთა. ეს ძალიან ცუდი პრაქტიკაა,
ამიტომაც ჩვენ მხოლოდ ის კი არ უნდა მოვძებნოთ, სხვას რა
აქვს გაკეთებული, არამედ ჩვენ თვითონ უნდა ვაკეთოთ და
სწორედ ეს არის ის უნარი, რაც ბავშვებს უნდა შევძინოთ.
თუმცა, იმისთვის, რომ მოსწავლეებს ასწავლონ, პირველ
რიგში, მასწავლებლებმა უნდა ისწავლონ.


ცხადია, ჯერ ტრენინგების საბოლოო შედეგებზე ვერ ვი-
საუბრებ, ამას კურსის დასრულების შემდეგ შევძლებ. 40 მას-
წავლებლიდან, რაც ტრენინგების კურსი დაიწყო, 25 დარ-
ჩა, ანუ დანარჩენებმა ვერ გაუძლეს და 3 თვის თავზე, მხო-
ლოდ 25 მასწავლებელთან ვაგრძელებ პროექტს, ნაწილისთ-
ვის, როგორც ჩანს, ძალიან რთული აღმოჩნდა.

ექვსი თვის განმავლობაში, ყოველ ოთხშაბათს, ტარდება
ვებინარი და მასწავლებლები წარმოადგენენ მათ მიერ შექმ-
ნილ პროექტებს, თუმცა, პრეზენტაციებამდე, ამ ყველაფერს
დიდი სამუშაო უძღვის წინ. რაც მთავარია, საბოლოოდ, მას-
წავლებელმა ეს ბავშვებამდე უნდა მიიტანოს, ამისთვის კი,
თავისთავად, მნიშვნელოვანია ბავშვების ჩართულობის
ზრდა. იმ ადამიანებს, რომლებსაც დიდი ხანია აქვთ ურთიერ-
ობა (როგორც გითხარით, სკოლები თანამშრომლობენ ჩემ-
თან), რასაკვირველია, შედეგები უკვე აქვთ. ჩემს ლაბორატო-
რიაში გამოკრულ პლაკატებზეც, ძირითადად, სწორედ მათი
წარმატებები ასახულია. რაც მილენიუმის კონკურსები დაარ-
სდა, არც ერთი წელი არ ყოფილა, რომ პირველი ან მეორე ად-
გილი არ აეღოთ მოსწავლეებს, რომლებიც ამ პრინციპით
სწავლობდნენ და სწავლობენ. მაგალითად, ერთი პლაკატი
ეთმობა სენაკის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლეებს და
მათ მასწავლებლებს, უტა კილასონიას, რომლებმაც შექმნეს
ხელსაწყო – შეტყობინების სისტემა მენეჯერსა და მასწავ-
ლებლებს. უტა კილასონია ჩემი ერთ-ერთი წარმატებული და
გამორჩე-
ული მოსწავლეა, რომელთანაც დღემდე ყოველდღიური პრო-
ფესიული ურთიერთობა მაკავშირებს. ეს მაგალითი კი, იმის-
თვის მოვიყვანე, რომ გიჩვენოთ, როგორი შედეგი აქვს პრო-
ფესიონალ მასწავლებელს და როგორ არ აყვავებს მისი მოს-
წავლეების შედეგებიც.

ზოგადად, მოსწავლეებს ძალიან აინტერესებთ ექსპერი-
მენტებში მონაწილეობა, ჩემს ლაბორატორიაში ვერ შემოხვი-
დოდით პანდემიის დაწყებამდე, იმდენი მოსწავლე იყო. პან-
დემიამ ძალიან შეგვიშალა ხელი, ოთახში ხუთ-ექვსი მოსწავ-
ლეზე მეტს ვერ ვუშვებ. ძალიან მახარებს, დაინტერესებული
ბავშვები რომ მოდიან, ტექნიკური უნივერსიტეტი და ბუნებ-
რივია, სკოლებთან კავშირი გვაქვს, მეგობრულად გვაქვს
მათთან გაფორმებული – ბავშვებს ვეხმარებით, ვასწავლით.
ცხადია, ყველა ერთნაირად ვერ ისწავლის, მაგრამ უმრავლეს-
ობის მიერ შექმნილი პროექტები უკვე ისეთი დონისაა, რომ
ანალოგი არ აქვს. გამარჯვებული პროექტის ავტორი ბავშვე-
ბი, ყველანი, ნამყოფი არიან ნასაში, რაც მილენიუმის კონ-
კურსებმა მოიტანა – გამარჯვებული ბავშვები მიჰყავთ ნასაში
და ეს ხდება ყოველ წელს (ჩვენი მოსწავლეების ექვსი პროექ-
ტი წელსაც გადავიდა ფინალში).

– რას ნიშნავს სტემის სწორად გაგება?

– სტემის სწორად გაგება იმას ნიშნავს, რომ მე უნდა ჩამომი-
ყალობდეს სათანადო უნარები ისე, რომ ჩემი ცოდნა-ნაბრე-
ვის გამოყენება შევძლო, ერთია გქონდეს იდეა და მეორეა მი-
სი განხორციელება. რთულია იდეის განხორციელება, საქმის
ბოლომდე მიყვანა, მუშაობის პროცესში ბევრი წინააღმდე-
გობა გხვდება, რომელსაც ცოდნის საფუძველზე დაძლევა და
დაასრულებ. ადამიანს ბევრი იდეა უჩნდება, ფანტაზიები უტ-
რიალებს თავში, რომელთა განსახორციელებლად სათანადო



უნარები სჭირდება, პირველ რიგში, ცოდნა – ფიზიკა, მათემა-
ტიკა, საინჟინრო ტექნოლოგიები, პროგრამირება, ეს ყველა-
ფერი, თავს იყრის სტემში. ამ უნარებთან და ცოდნასთან ერ-
თად, რაიმე ხელსაწყო შექმნა ძალიან დიდ შრომას მო-
ითხოვს. თავისთავად, ეს ერთ დღეში არ ხდება, ბავშვები ძა-
ლიან ბევრს და დიდი მონდომებით მუშაობენ, მუშაობის პრო-
ცესში სწავლობენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი სუპერ ბავშ-
ვები არიან. სიმართლე გითხარით, მასწავლებლებთან უფრო
რთულია მუშაობა, ვიდრე მათთან, რადგან მასწავლებლებში
ძნელია იმ ბავშვი წარმოდგენებისა და შტამპების შეცვლა,
რაც აქვთ. ბავშვები კი, ამ შტამპებისგან სრულიად თავისუფ-
ლები არიან და იოლად მომყვებიან.

რატომ მოხდა ჩვენს განათლების სისტემაში ამ საგნის
სწავლების ხარისხის დაწევაც და ინტერესის დაკარგვაც?
იმითმომ, რომ ფიზიკა დავტოვეთ იქ, სადაც წლების წინ წინ
იყო, დღევანდელაობაში კი სულ სხვა რამ ხდება. როგორც კი
ამ მოცემულობას შევცვლით, რასაკვირველია, მაშინვე გახ-
დება საინტერესოც და სწავლების ხარისხიც აიწევს.

– როგორია ამ სახელებისადმი მასწავლებლების მიმდებლო-
ბა? იოლად მოგყვებიან?

– ის მასწავლებლები, რომლებიც ჩემს ტრენინგებზე დარე-
გისტრირდნენ, მზად არიან, მიიღონ ეს ყველაფერი. მეტიც,
გაკვეთილების შემდეგ, ერთად იკრიბებიან, მსჯელობენ, მუ-
შაობენ, ხანდახან ღამეც კი მუშაობენ, ჩემთან მუდმივი კომუ-
ნიკაცია აქვთ. ჩართული არიან რეგიონის პედაგოგებიც, ამ
კვირის ვებინარზე, მაგალითად, მასწავლებლები ჩამოვიდნენ
კახეთიდან, ბათუმიდან. და ა.შ. ძალიან ბევრს მუშაობენ და
აინტერესებთ სწავლების ახლებური მიდგომები.

– რა არის საჭირო იმისთვის, რომ სკოლებმა ეს შესაძლებლო-
ბა გამოიყენონ? რამდენად იყენებენ სკოლებში რეალურ-
ვირტუალურ ლაბორატორიებს?

– ეს არის ინდივიდუალური შეკვეთები, ჩემთან მოდიან ხოლ-
მე სხვადასხვა სკოლიდან, ეცნობიან ლაბორატორიას და მე-
რე, რომელი სკოლაც გადაწყვეტს, რომ შეიძინოს, ხელშეკ-
რულებას დებს. უმჯობესია, ეს ინდივიდუალური შეთანხმე-
ბების საფუძველზე კი არ ხდებოდეს, არამედ ერთიანად შეი-
ძინოს განათლების სამინისტრომ და თვითონ დაურიგოს
სკოლებს. თუმცა, როგორც ჩანს, შტამპები ისევ რჩება და
ისევ ძველი ტიპის ლაბორატორიებს იყენებენ, მიუხედავად
იმისა, რომ მორჩა ის დრო, როცა შეიძლებოდა მათი გამოყე-
ნება. ახლა ტექნოლოგიების ეპოქაა და ჩვენც უნდა გადა-
ვეწყოთ ახალ ტექნოლოგიებზე, ახალ გარემოზე, ახალ ცხოვ-
რებაზე. თუ არ გადავწყვე, ბავშვი აღარ ნამოგყვება, ის
გრძნობს, რამდენად უინტერესოა უკან მოტოვებული დრო,
თავისი სწავლების მეთოდებით. მას დღეს უზღვევი ინფორმა-
ცია აქვს და ხედავს, რომ სულ სხვა რამ ხდება ინტერნეტში, ხე-
დავს როგორი აცდენაა თანამედროვე ცხოვრებასა და იმას
შორის, რასაც სკოლაში ასწავლიან და პროტესტსაც თამამად
გამოხატავს, რომ არ უნდა, არ აინტერესებს.

– პირველი შემთხვევაა, როცა მასწავლებელთა სახლთან ერ-
თად, პედაგოგებისთვის ტრენინგ-კურსს ატარებთ. გადამზა-
დებული მასწავლებლები გახდებიან თუ არა რესურსი სტემ
მიმართულების განვითარებისთვის არა მხოლოდ საკუთარ
სკოლებში, არამედ კოლეგებისთვისაც?

– კურსს ავგისტრობი დავასრულებთ და ეს მასწავლებლები
უკვე თავად იქნებიან ტრენერები, თვითონ შეძლებენ ამ ყვე-
ლაფრის დამოუკიდებლად დაწერვას/გამოყენებას, თავი-
ათნ მოსწავლეებთან ერთად.

როდესაც უკვე ტრენერები გახდებიან, მათი მთავარი საყ-
რდენი, რასაკვირველია, რეალურ-ვირტუალური ლაბორა-
ტორია იქნება, რომელიც ძალიან დიდ შანსს გაძლევს, ადვი-
ლად გაეკრვე მოვლენებში და მოსწავლეებისთვის საინტერე-
სო გახადო სწავლება. ამ ტრენინგის მიზანი ისიც არის, რომ
მასწავლებლებს ვასწავლოთ როგორ შექმნან თავად საგან-
მანათლებლო რესურსი. როგორც გითხარით, არა მხოლოდ
მასწავლებლების, ბავშვების ჯგუფებიც მყავს, რომლებიც


სისტემატურად ქმნიან მსგავს რესურსებს და ვებინარებზე
გამოაქვთ. აი, ამას მინდა, რომ მივალწიოთ – ბავშვების მიერ
შექმნილი რესურსები დაინერგოს სკოლებში და ამ რესურსე-
ბის გამოყენებით ასწავლონ (ნუ ვეძებთ სხვის მიერ გაკეთე-
ბულს!). რაც მთავარია, ბავშვები ამას დიდი სიამოვნებით
აკეთებ და რატომ არ ვიყენებთ ასეთ პოტენციალს?

ასეთი მიდგომით ძალიან გავზრდით ინტერესს არა მხო-
ლოდ ფიზიკის საგნის, არამედ სტემის მიმართულებით. უნდა
ვასწავლოთ ბავშვებს, როცა ტელეფონით ერთმანეთს ველა-
პარაკებით, სურათებს ვუგზავნით, ხმას ვინეროთ – ეს ყველა-
ფერი ფიზიკაა. რატომ ვმალავთ ამას? იმიტომ, რომ წიგნებში
(სახელმძღვანელოებში) ისევ ძველი ტექსტებია და მასწავ-
ლებლებიც ამის მიმდევრები არიან? ხუთასი საუკუნის წინან-
დელი აღმოჩენების შემდეგაც ვითარდება სამყარო. რატომ
არ ვასწავლით როგორ ვიყენებთ თაჩს ან რა არის ასეთი გან-
საკუთრებული ეს თაჩი? ყველაზე ცუდი, რაც ხდება, ის არის,
რომ ჩვენ ყველანი მომხმარებლები ვართ, უნდა ვეცადოთ,
მოსწავლეები შექმნილებად გავზარდოთ. ჩემი სლოგანიც
სწორედ ეს არის – გავზარდოთ თაობა, რომელიც იქნება შემ-
ქმნელი და არა მომხმარებელი. რასაკვირველია, ეს სლოგანი
პირდაპირ გამოისახება სტემში. თავისთავად, ჯერ უნდა მას-
წავლო რა იყო ჩემამდე, სხვას რა აქვს გაკეთებული და რო-
გორ. ამის შემდეგ კი, უნდა მასწავლო როგორ შევქმნა ახალი,
კობი-ფეისბუქით კი ამას ვერ ვისწავლი. პრობლემაა როგორც
თანამედროვე სწავლების მეთოდებში, ასევე თემატიკაშიც –
რას ვასწავლით და როგორ ვასწავლით. სხვა შემთხვევაში,
ბავშვი აღარ გეტყვის – რად მინდა ამის სწავლა.

ამიტომაც არის სტემის როლი განუსაზღვრელი სკოლებში,
სწავლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით. სტემი გაძ-
ლევს საშუალებას, თავიდან ბოლომდე გაიხზო მოვლენები,
იყო აქტიურ მდგომარეობაში, შეძლო პროექტის გაკეთება და
გამომიშვაო თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზე-
ბის უნარი. თეორიულ ცოდნას მხოლოდ იმის გამო ვერ ვიყყა-
რებ, რომ ზეპირად მაქვს ნასწავლი, როგორც კი დავეწყებ მის
რეალიზებას – პროექტზე მუშაობას და რაღაცის შექმნას, ძა-
ლაუნებურად, იძულებული გავხდები, სიღრმისეულად ჩავი-
ხედო და გავიგო, რა ხდება თეორიული მასალის მიღმა.

– საინტერესოა, რა შეძლეს მასწავლებლებმა ამ სამი თვის
განმავლობაში. თუ შეგიძლიათ გვითხარით მათ მიერ ჩატარე-
ბული თუნდაც ერთი ექსპერიმენტი ან ხელსაწყო შექმნის
მაგალითი.

– ტრენინგ-კურსის მონაწილე გორის ერთ-ერთი სკოლის
ფიზიკის მასწავლებელი მარეხ მაზანაშვილი (რომლის პრო-
ექტს ყველა მოუთმენლად ელოდება), მიმდინარე კვირის
ოთხშაბათის ვებინარზე, გააკეთებს პრეზენტაციას. მართ-
ლა ძალიან მაგარი მასწავლებელია, დღე და ღამე მუშაობს.
მარეხმა ძალიან საინტერესო თემა აირჩია – როგორ იცვ-
ლება ადამიანის ნონა, ანუ როგორ ხდება უწონადი. ალბათ,
გინახავთ კოსმოსში, უწონადობის გამო, როგორ დაფრინა-
ვენ კოსმონავტები ხომალდში – რჩება მოცულობა, მაგრამ
ქრება ნონა. დედამიწაზეც შეიძლება ადამიანმა ეს უწონადი
მდგომარეობა მიიღოს, ვარდნის დროს. მაგალითად, ლიფტი
რომ მოწყდეს და ადამიანი იქ აღმოჩნდეს, ვარდნის დროს
მას ნონა არ ექნება, ანუ დაეკრძნა უწონად მდგომარე-
ობაშია. ეს ვიცით თეორიულად, მაგრამ როგორ დავადგი-
ნოთ ან რითი დავამტკიცოთ, რომ ეს ასე ხდება. სწორედ
ამის დამტკიცებას და ადამიანის ნონის განსაზღვრას შეძ-
ლებს გორელი მასწავლებლის მიერ შექმნილი ხელსაწყო,
რომლის დამზადებაშიც, ცხადია, დავეხმარე. ვარდნის
პროცესში ძალიან ძნელია ამის დაფიქსირება, ეს ინფორმა-
ცია რომ შენამდე მოვიდეს. მარეხი მასწავლებლის მიერ
დამზადებული ხელსაწყო – სმარტდინამომეტრის საშუ-
ალებით კი, ამას შევძლებთ – კომპიუტერთან ზიხარ და ხე-
დავ, ტვირთი ვარდება და შენ ეკრანზე გეხატება დიაგრამა.
გარდა ამისა, ეს დინამომეტრი მოლაპარაკეცაა და გეუბნე-
ბა ნონას. მსგავსი პროექტები აქვთ ტრენინგებში ჩართულ
სხვა მასწავლებლებსაც, რაც, თავისთავად, ხაზს უსვამს ამ
ტრენინგ-კურსის მნიშვნელობას.



რას ურსხვანტარი

# მსირაკონტინენტური სკოლები, კანდიდიის პერიოდში, უპირატესობად იქცა

⇒ შუახვევი – აჭარის რეგიონი  
⇒ მოსწავლეთა რაოდენობა: 1652  
⇒ მასწავლებელთა რაოდენობა: 743  
⇒ სკოლების რაოდენობა: 44 სკოლა – 43 საჯარო, 1 კერძო

შუახვევის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, სკოლების რაოდენობით, ერთ-ერთი უდიდესი სასაბუნებისმეტყველო-მეცნიერო, მათემატიკა, აბაზგოვალა, მცირეკონტინენტური – მთელ რაიონში 1652 მოსწავლეა გაზრდილი, რომლებსაც დიდ ძალაძველებს აბაზგოვალა ცალკეულ სკოლებს ჰყავთ. არადა, აჭარა ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალპროფილიანი მოსწავლეთა და მოსწავლეების გავრცელებით. თითქმის ყველაფერი რიგზეა – საკმაოდ და მოწინააღმდეგე სკოლები, მოსწავლეთა წარმატებები სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში, მაგარა მთავარი შედეგი მაინც არ ჩანს – გავრცელების, ხალხის, ახალგაზრდების გარეშე სოფელ-ქვეყანას ფასი არა აქვს.

შუახვევის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მუშაობაზე, მიღწევებსა თუ სიძნელეებზე რესურსცენტრის უფროსი ელზარდ გომარაძე გვიხატავს. ინტერვიუში ისეთ პრობლემებსაც ეხება, 21-ე საუკუნეში რომ აღარ უნდა გვანახებოდეს, თუნდაც სკოლებში სასწავლო წესის პრობლემა. ელზარდ გომარაძესთან ინტერვიუ მიგრაციისა და სასაბუნებისმეტყველო-მეცნიერო დარგების მიხედვით:

– შუახვევი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია, მთავარი რელიეფით, სოფლები რთული სატრანსპორტო გზებითა და კავშირებით ერთმანეთთან. ბუნებრივია, მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება მიგრაციისთანა დაკავშირებული და ეს პროცესი წლების განმავლობაში მატულობს – მოსახლეობა, დაახლოებით, 20-30%-ით შემცირდა. თუმცა, ბოლო წლებში, მთის პროგრამების განხორციელებამ ხელი შეუწყო სოფლებში მოსახლეობის დამატებას, შედეგადად რაოდენობა კომუნალურ თუ სასაბუნებისმეტყველო გადასახადებზე, ასევე სამედიცინო საქმიანობის დაბეგრებაში, მრავალპროფილიანი ოჯახები დახმარებებს იღებენ, შედეგად 142-ლარიანი დანაშაულებით სრულ განაკვეთზე, რის შედეგადაც სოფლებიდან მასწავლებელთა გადინება შეჩერდა. შეიძლება ითქვას, ძირითადი ბირთვი, რომელიც სოფელს ამარაგებს, შედეგადაც კატეგორიაა.

რესურსცენტრის 743 მასწავლებლიდან 3 მენტორია, 68 – ნამყვანი და 348 – უფროსი მასწავლებელი. გვყავს, ასევე, შემცველი და მძივბელი 25 მასწავლებელი. ისინი, შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში, უფროსი მასწავლებლები გახდებიან.

### – კადრები თუ გყოფნით, მასწავლებელთა დეფიციტი ხომ არ გაქვთ?

– სამწუხაროდ, კადრების დეფიციტი ნამდვილად გვაქვს. ბოლო წლებში ეს ტენდენცია რამდენიმე მიმართულებით შეინიშნება – მათემატიკა, საბუნებისმეტყველო საგნები და უცხო ენები. დეფიციტმა კიდევ უფრო მოიმატა მას შემდეგ, რაც შედეგები საკუთარი ჯილდოზე გავიდნენ – ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთი 93 მასწავლებელი იყო. ცხადია, მათ ადგილზე გამოცხადდა ვაკანსიები და ნაწილობრივ შეივსო ახალი კადრებით, ნაწილობრივ კი შიდა გადანაწილება მოხდა. 50-მდე ახალი მასწავლებელი ავიყვანეთ, მაგრამ დროებით შემცველი მასწავლებლების აყვანაც მოგვინია – 72-ია ასეთი. ანუ არის საგნის სპეციალისტი, მაგრამ ჯერ არა აქვს გამოცდა ჩაბარებული, თუმცა გამოთქვა სურვილი, რომ შემოვიდეს სკოლაში. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ კონკურსის წესით ვერ გამოინახებოდა კადრი. ასევე გვყავს დისტანციურად მომუშავე შედეგოვანი – სულ 6-7 სპეციალისტი. ისინი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დახმარებითა და მხარდაჭერით მოვიძიეთ – ძირითადად ქიმიამი, მათემატიკასა და ფიზიკაში.

მასწავლებელთა დეფიციტი რეგულირდება სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამებით, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს. მაგალითად, „სწავლე საქართველოსთვის“ პროგრამით, ამჟამად, ჩვენთან 4 მასწავლებელია მოვლენილი, რომლებიც საათობრივი დატვირთვის გარდა, დამატებით, კიდევ 1000 ლარს იღებენ. ასევე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამებით, ზემოხსენებულ დეფიციტურ საგნებში – მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო საგნებსა და უცხო ენებში 5 შედეგოვანი მასწავლებელი. მიზნობრივი პროგრამებით და სხვადასხვა საშუალებებით ვცდილობთ ვაკანსიების შევსებას, სადღეისოდ კი არსად არაა ისეთი მდგომარეობა, რომელიმე საგანი არ იმსწავლებოდეს. თუმცა, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, ჩნდება ვაკანსიები – დაახლოებით 70-100-მდე.

### – რა როლი შეასრულა რესურსცენტრმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით?

– რა თქმა უნდა, რესურსცენტრს ძალიან დიდი როლი აკისრია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით და ძირითადი ფუნქცია, სხვადასხვა საკითხთან ერთად, ისიცაა, რომ ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. როცა ეს საქმე ამოქმედდა, მასში რესურსცენტრის ჩართულობა იმთავითვე ძალიან დიდი იყო, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო სკოლებში შეფასების ჯგუფები, როგორ ემუშავათ მათ, როგორ დაეგროვებინათ მასწავლებლებს კრედიტები... რესურსცენტრი ესმარებოდა მათ რეგისტრაციაში, ტრენინგების ორანიზებაში, ცხადია – პროფესიულ გადამზადებაში. არაერთი ორგანიზაცია ატარებდა საგნობრივ თუ პროფესიული განვითარების ტრენინგებს, რასაც ორგანიზებას რესურსცენტრი უკეთებდა. პანდემიამდე, ჩვენს მუნიციპალიტეტში, ყოველწლიურად ვატარებდით მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციას სხვადასხვა საგანში. მასში მონაწილეობდნენ უფროსი მასწავლებლები, რომლებიც დამსწრეებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. უცხო ენაში, მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო თუ სხვა საგნებში ათეულობით შედეგოვანი მონაწილეობდა და წარმოადგენდა საკუთარ გამოცდილებას, რასაც სხვები იყენებდნენ თავიანთ პრაქტიკაში. ესეც ერთი მაგალითი, თუ როგორ ვუწყობდით ხელს შედეგოვანი პროფესიული განვითარებას. ცხადია, სკოლებს ასევე ვანვდიდით მეთოდურ ლიტერატურას, ინ-

ფორმაციას, ვაძლევდით რეკომენდაციებს. აქტიურად ვთანამშრომლობდით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან და ნებისმიერი სახლზე, საინტერესო ინიციატივა, რაც კი მათგან წამოვიდოდა, დაინტერესებულნი ვიყავით და შედეგად პროფესიულ განვითარებაში, ხელმისაწვდომი ხდებოდა თითოეულისთვის.

### – არაფორმალური და სამოქალაქო განათლების კუთხით რა ღონისძიებები ტარდებდა?

– უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ამ კუთხით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო არაფორმალური განათლების მიმართულებით ბევრ ღონისძიებას ატარებს. ამის გარდა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც საინტერესო პროგრამებს გვანვდიან ხოლმე. მაგალითად, „ლიდერთა სკოლა“, გარემოს დაცვითი ღონისძიებები; „მომავლის თაობა“, საზაფხულო სკოლები – ძალიან ბევრი პროგრამა ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. ისინი გვანვდიან ინფორმაციებს, რასაც მერე ჩვენ სკოლებს ვუზიარებთ, ვეხმარებით რეგისტრაციაში და მოსწავლეთა ჩართულობაში.

### – რამდენად აქტიურად ხართ ამ პროცესში მონაწილეები?

– აქტიურობა საკმაოდ დიდია. მაგალითად, „ლიდერთა სკოლა“ ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას – ატარებს ტრენინგებს, მერე ხდება ამ ბავშვების გადამზადება, რომლებიც უკვე თვითონ გადიან სკოლებში და საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ, წერენ პროექტებს, დაფინანსებასაც იღებენ. თემები განსხვავებულია – მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, ბუღინგის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები და სხვა. ამგვარ საკითხებში ჩვენი მონაწილეობა საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულები.

### – მასწავლელთა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო აქტივობებში რა შედეგები გაქვთ და რომელი სკოლებისა ამ მხრივ გამოირჩევა?

– ჩვენი მონაწილეები აქტიურად არიან წარმოდგენილი სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადებში, შემოქმედებით კონფერენციებში და კარგი შედეგებითაც გამოირჩევიან. მაგალითად, შარშან ჩვენი მუნიციპალიტეტიდან აბიტურიენტთა 74 პროცენტი გახდა სტუდენტი – რაოდენობრივად ცოტა გვყავდა აბიტურიენტი, თუმცა პროცენტულად მაღალი მაჩვენებელია.

ჩვენს მონაწილეებს, ყოველწლიურად, არაერთხელ მოუპოვებიათ პირველი ადგილი სხვადასხვა მიმართულების რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციებში. კარგი შედეგები გვაქვს სასკოლო ოლიმპიადებში. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ბევრ საინტერესო პროგრამას ახორციელებს. მაგალითად, მხატვრული კითხვის ძალიან საინტერესო კონკურსია ლიტერატურული მარათონი. აჭარის სამინისტროს სკოლებში შეაქვს მხატვრული ლიტერატურა და მხოლოდ თაროზე შემოწმობილი რომ არ დარჩეს, ყოველწლიურად, ატარებს ასეთ საინტერესო კონკურსს საბაზო და საშუალო საფეხურის მონაწილეებისთვის, ჩვენ კი ყოველთვის გვყავს პირველ-მეორე ადგილებზე გასულები.

საბედნიეროდ, ბევრი ასეთი შემეცნებით-განმავითარებელი პროექტი ხორციელდება. ტარდება საგნობრივი კონკურსები და ოლიმპიადები როგორც ცენტრალური, ასევე აჭარის სამინისტროს ეგვიდით; იმართება გუნდური კონკურსები ისტორიაში, სამოქალაქო განათლების კუთხით – შარშან აქაც გვყავდა გამარჯვებული მონაწილეები. პანდემიამ ცოტა შეაფერხა ეს აქტივობები, განსაკუთრებით, გუნდური კონკურსები და ონლაინ პლატფორმაზე გადაინაცვლეთ. მაგალითად, იმავე ლიტერატურული მარათონის პირველი ეტაპიც ონლაინ გაიმართა, გუნდურ კონკურსებს კი ამ ეტაპზე ვერ ვატარებთ.

ლიტერატურულ მარათონში გამორჩეულია სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის სოფელ მიგაბულის საჯარო სკოლა და მისი მონაწილეები. როგორც გითხარით, ერთი კერძო სკოლა გვაქვს – საპატრიარქოს დაქვემდებარებული გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა, რომლის მონაწილეებმა გამარჯვების სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის კომპინირებულ გუნდურ კონკურსში. წარმატებები გვაქვს სპორტის მიმართულებითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან სოფელ შუბანისა და დარჩიძეების საჯარო სკოლები, სადაც ქართულ ჭიდაობას მისდევენ. ამ დღეებში სპორტის ამ სახეობაში გამარჯვებულებს ვაჯილდოებთ – შუბანის სკოლის მონაწილე უფროსებში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. სამოქალაქო მიმართულებით გამოირჩევა სოფელ ჭალის საჯარო სკოლა. თუმცა, ასე ცალსახადაც ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე სკო-



ელზარდ გომარაძე, ცენტრის უფროსი

ლა ერთ კონკრეტულ მიმართულებაში გამორჩეული – სხვადასხვა განხორციელებული აქტივობები და მეტ-ნაკლებად განსხვავებული წარმატებები აქვთ.

### – ინფრასტრუქტურის კუთხით ხომ არაა პრობლემები – რამდენად სკოლები ტექნიკურად აღჭურვილი ან თავად შენობები რამდენად არიან?

– ამ ეტაპზე, დაბის ცენტრში მიმდინარეობს სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც წლებულს შემოდგომაზე შევა ექსპლუატაციაში. მის მშენებლობაზე 2 მილიონი ლარი იხარჯება. ზოგადად, შუახვევი 2015 წლის მერე აშენდა ლევან ბერიძის სახელობის ფურტიოს საჯარო სკოლა, რომელიც უნიკალურია; ასევე მანყვალის საჯარო სკოლა – ორივე კაპიტალური შენობა და აღჭურვილია ინვენტარით, მიმდინარეობს ლაბორატორიების აღჭურვა იმის მიუხედავად, რომ აქ მოსწავლეთა კონტინენტი მცირეა. ბოლო წლებში, აჭარის განათლების სამინისტროს დაფინანსებით, შუახვევის კიდევ 6-7 სოფელში მიმდინარეობს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვა, რაც საკმაოდ ძვირადღირებულია; 26 სკოლაში შევიტანეთ 400-ზე მეტი დასახლების მხატვრული ლიტერატურა; მერხებით, სკამებით, დაფებით ყველა სკოლა უზრუნველყოფილია და ამ მიმართულებით პრობლემა არ გვაქვს. ახალი სკოლების მშენებლობის გარდა, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს რამდენიმე სოფლის სკოლის რეაბილიტაცია. სადღეისოდ ახალი შენობის აშენების საქმეებზე მხოლოდ დარჩიძეშია. პროექტი უკვე შედგენილია და მალე მშენებლობაც დაიწყება.

ინვენტარის თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტში პრობლემები თითქმის მოწესრიგებულია, პრობლემა სასამართლო ნაკლებად დაკავშირებით, რადგან სოფლებში არაა ცენტრალური მომარაგება. ტექნიკური ნაწილი ყველგან აქვთ, სასამართლო ნაწილი – არა.

### – მაღალმთიან რეგიონებში ტრანსპორტის საკითხი, ზოგადად, მწვავედ დგას. რა ვითარებაა ამ მხრივ სკოლებთან მიმართებაში?

– მცირეკონტინენტური რეგიონების მიუხედავად, როგორც გითხარით, ბევრი სკოლა გვაქვს. ეს სწორედ რთული რელიეფითაა გამოწვეული – შეიძლება, პატარა სოფელი იყოს, მაგრამ შეუძლებელია, იქ სკოლა არ იყოს, რადგან ბავშვები ვერ შეძლებენ სხვა სოფელში სწავლას, განსაკუთრებით – ზამთარში. თვითონ სოფლებშიც არის ისეთი უბნები, 5-6 კილომეტრით რომაა დაშორებული ერთმანეთისგან და მათთვის ძნელია სოფლის ცენტრამდე, სკოლამდე მისვლა. საბედნიეროდ, კარგად იმუშავა ტრანსპორტირების პროგრამამ და, 100-ზე მეტი უბნიდან, 37 სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომელსაც გადაჰყავს ბავშვები სახლიდან სკოლამდე და პირიქით. ეს პროგრამა გამართულად მუშაობს.

დანარჩენ 7 სკოლაში ტრანსპორტი არ სჭირდება, რადგან კომპაქტურად დასახლებული სოფლებია. ამ პროგრამის მიხედვით, ტრანსპორტი ემსახურება იმ მონაწილეებს, რომლებსაც ფეხით 1.5-2 კილომეტრის გავლა უნევთ ტყიან ტერიტორიაზე – ყველა უბანში დანიშნულია ტრანსპორტი, რომელიც ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

### – რა პრობლემები შეგიქმნათ პანდემიამ?

– დასაწყისში ონლაინ სწავლება წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებს, შედეგოვანს, დირექტორებს, რომლებიც მაქსიმალური ძალისხმევით ჩაერთვნენ ამ გამოწვევის დაძლევაში, შედეგად კი არც ერთი მონაწილე არ დაგვრჩენია სასწავლო პროცესის მიღმა.

ცხადია, გამოწვევა დიდი იყო. მით უფრო, უფროსი თაობის მასწავლებლებისთვის რთული აღმოჩნდა ონლაინ პლატფორმების გამოყენება, მაგრამ ურთიერთდახმარებით შეძლეს ამ სირთულის გადალახვა. თქვენ წარმოიდგინეთ, თავიდან ყველა საშუალებას იყენებდნენ, ოღონდ ბავშვებთან კომუნიკაცია ჰქონოდათ, ბოლო პერიოდში კი თითქმის ყველა სკოლა თიშ-ის პროგრამების გამოყენებაზე გადავიდა. თუმცა ინტერნეტთან ნდობა აქაც პრობლემა იყო – მაღალმთიან რეგიონში არაა მაღალი ხარისხის ბოქსოვანი ინტერნეტი და ბავშვებიც და მასწავლებლებიც დამოკიდებული იყვნენ ან რადიოინტერნეტზე, ვისაც ჰქონდა ამის საშუალება, ან მობილურ ტელეფონებზე. ცხადია, თავიდან ამან გარკვეული პრობლემა შექმნა. დასაწყისში შევაგროვეთ მონაცემები, რომელ სკოლას, მასწავლებელს თუ მოსწავლეს ჰქონდა ტექნიკური საშუალებები – არა მარტო ინტერნეტზე ნდობა, არამედ კომპიუტერი ან შესაბამისი ტელეფონი, რომლითაც შეძლებდა ამ პროგრამების გამოყენებას. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი, დავეგეგმეთ როგორ განხორციელებულიყო პროგრამები. მაქსიმალურად დავეხმარა აჭარის განათლების სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველო-

რას უნდა ვიცოდეთ

ბა. თავიდან ტელეკავშირებზე წვდომის პრობლემა კი გვექონდა, რადგან ზოგან საზოგადოებრივ მაუწყებელსაც ვერ იჭერდნენ, დაბალი სიხშირის გამო, მაგრამ შემდეგ, 1-2 კვირაში, ზემდგომთა ჩარევით, სიხშირე გაიზარდა და ესეც მოგვარდა, შედეგად კი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყველა მოსწავლეს მიეცა ტელეკავშირების მიღების საშუალება. პრობლემები ამის მერეც იყო, რადგან დისტანციური და ონლაინ სწავლება ვერ გაუტოლდება პირისპირ სწავლას, მაგრამ დასაწყისში არსებული ძირითადი პრობლემები თანდათან მოგვარდა. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ოჯახში მასწავლებელთან დასაკავშირებლად არ ჰქონდათ მობილური ტელეფონი ან შესაბამისი ტექნიკა, მაგრამ ქველმოქმედებით თუ სხვა სახის დახმარებით ესეც მოგვარდა – გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დახმარებდნენ სოციალურად დაუცველ ოჯახებს; ხშირად მასწავლებლები და დირექტორები ურჩევანდნენ ინტერნეტის ფულს ბავშვებს, ვისაც ამის საშუალება არ ჰქონდათ... ბოლოს საქართველოს განათლების სამინისტრომ, ოუნისფის დახმარებით, შეღავათიანი ინტერნეტი მიანოდა სკოლებს – 10 ლარად შეეძლოთ 20 გეგაბაიტის ყიდვა.

გვაქვს ერთი სოფელი – ნაღვარევი, სადაც ინტერნეტი არ იჭერს. ამის გამო უფრო მეტი პრობლემის წინაშე აღმოჩნდით – მასწავლებლები ტელეფონით უკავშირდებოდნენ ბავშვებს ან მიდიოდნენ ოჯახებში და იქ ასწავლიდნენ. ამ ვითარებაში მცირე კონტინგენტი მომგებიანად კი აღმოჩნდა – 2-3 მოსწავლე ჰყავთ კლასში და დისტანციურ სწავლებას არ იყო. ზოგადად, მცირე კონტინგენტიანი სკოლები, პანდემიის პირობებში, უპირატესობადაც კი იქცა. ჩვენთან ყველაზე მეტი მოსწავლე – 155 დაბა შუახევის საჯარო სკოლას ჰყავს, ხოლო ყველაზე ცოტა – 2 მოსწავლე საფულ გოგაძეების სკოლაშია, სადაც გასული საუკუნის 80-იან წლებში 170-ზე მეტი მოსწავლე იყო, 90-იანი წლების მიგრაციის შედეგად მაშინდელი საშუალო სკოლის ადგილზე ახლა დაწყებითი სკოლაა.

მუნიციპალიტეტში სულ 3 სკოლაა, რომელსაც 100-ზე მეტი მოსწავლე ჰყავს, დანარჩენებში კი 100-ზე ნაკლებია. დირექტორები მაქსიმალურად აკონტროლებდნენ სიტუაციას, ყოველდღიურად უნებდნენ მონიტორინგს სასწავლო პროცესს და მასში მოსწავლეთა ჩართულობას – ვინმე თუ ვერ ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში, ამაზე ინფორმაცია იმ დღესვე გვექონდა და იწყებოდა მიზეზის ძიება. თუ ამას სკოლა ვერ აგვარებდა თავისი ძალებით, ჩვენ ვერთვებოდით და თუ საჭირო ხდებოდა – ზემდგომი ორგანოებიც. ყველა საშუალებას ვიყენებდით, რომ მოსწავლეები სწავლის მიღმა არ დარჩენილიყვნენ და არც დარჩენილან.

ამჟამად 44-ივე სკოლა დასწრებით რეჟიმში, საკლასო ოთახებში აგრძელებს სწავლას და არც ერთი კლასი, არც ერთი მასწავლებელი არაა გადასული დისტანციურ სწავლებაზე. ამჟამად პანდემიური ვითარება ჩვენთან სტაბილურია და ჩვეულებრივ რეჟიმში ვაგრძელებთ მუშაობას, რა თქმა უნდა, რეკომენდაციების მაქსიმალური დაცვით.

ირაკლი თავაძე



განათლებისა და მისწრაფების 2022-2032 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში (PAR)“ მხარდაჭერით, განათლებისა და მეცნიერების 2022-2032 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. დოკუმენტი შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებთან, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან და ევროკავშირის სტანდარტებთან.

2022-2032 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა იქნება სამინისტროს საქმიანობის მთავარი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განათლების სისტემის ყველა მიმართულებას მოიცავს: ბავშვთა სკოლამდელი აღზრდა, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება და მეცნიერება. ახალ სტრატეგიაში ინტეგრირებული იქნება განათლებისა და მეცნიერების სფეროში ევროკავშირის რეკომენდაციები და ყველა საერთაშორისო ვალდებულება.

სტრატეგიის შემუშავების პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა



მოადგილემ, ეკატერინე დგებუაძემ, მოადგილეებმა: ნუნუ მიცკევიჩმა და თამარ ქიტიაშვილმა, ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელმა, ტიბორ დრაშკოვიჩმა და სამინისტროს სტრატეგიული განვითარებისა და დარგობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ეკატერინე დგებუაძე: „განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აგრძელებს 2022-2032 წლების სტრატეგიაზე მუშაობას. მოგეხსენებათ, განათლებისა და მეცნიერების განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს და, შესაბამისად, ახალ სტრატეგიულ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფის, ასევე, კარგი მმართველობისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის განმტკიცებას. 10-წლიანი სტრატეგიის შემუშავება დიდი პასუხისმგებლობაა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, თუმცა გვჯერა, პარტნიორების მხარდაჭერითა და ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ თითოეულ მოქალაქეზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავებას.“

სამუშაო შეხვედრის პირველ დღეს მონაწილეებმა, განათლებისა და მეცნიერების 2022-2032 წლების სტრატეგიის სამიზნე მიმართულებები გამოკვეთეს და 2032 წლისთვის მისაღწევი ძირითადი შედეგების შესახებ იმსჯელეს. შეხვედრის მეორე დღე დაეთმო სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიაზე მუშაობას და დარგობრივი მიმართულებებით განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვას.

ტიბორ დრაშკოვიჩი: „სრულად ვიზარებ შეხვედრის მონაწილეების მოსაზრებას, რომ სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია განათლების სისტემის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარებას სჭირდება ყველა ჩართული მხარის აქტიური მონაწილეობა და თანამშრომლობა. სტრატეგიის შემუშავების პროცესიც შესაბამისად არის დაგეგმილი. მოხარულები ვართ, რომ პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა“ ფარგლებში საშუალება გვაქვს, მონაწილეობა მივიღოთ ამ რთულ პროცესში და ხელი შევუწყოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.“

ალსანიშნავია, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ევროკავშირის ორი პროექტის – „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ და „უნარების განვითარება დასაქმებისთვის“ – ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართულები მსოფლიო ბანკის პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ ექსპერტები და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს წარმომადგენლები.

განათლებისა და მეცნიერების 2022-2032 წლების სტრატეგიის საჯარო განხილვის შემდეგ, 2021 წლის ბოლომდე, მოხდება მისი დამტკიცება.

სასკოლო აქტივობა

„ხელოვნება თავად უკვდავება“

პოეზიის ელიტარული სტატუსის მიუხედავად, ბევრი მის არსებობას იფიქსებს კიდევ. რასაც ნამდვილად ვერ იტყვით, ყოველივე ქართულის მოფრთხილება-მოსათუთებით ცნობილ, ჭეშმარიტ ქართველ ქალბატონზე, გულნარა კვიციანზე. ქალბატონი გულნარა სკოლა „თამარიონს“ უდგას სათავეში. მან კარგად იცის, რომ ენა არის ცოცხალი და ეს, ყველაზე ნათლად, პოეზიით შეიგრძნობა. სწორედ მისი თაოსნობით ჩატარდა სკოლაში ხელოვნებისადმი მიძღვნილი უჩვეულო საღამო. ღონისძიების მოწყობაში მთელი სული ჩააქსოვა სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ (ხელმძღვანელი – ნინო განდელიძე). ვნახოთ, როგორ იხსენებენ საღამოს კათედრის წევრები:

✓ 27 აპრილს სკოლა „თამარიონში“ ჩატარდა შემოქმედებითი საღამო „ხელოვნება

თავად უკვდავება“. მიუხედავად რთული ვითარებისა, სკოლის კედლებს მოფარებულა, შექცეულით თავი მიგვეცა ლამაზი ფიქრებისთვის, დაგმტკბარიყავით ხელოვნების ნიმუშებით, მოგვესმინა პოეზიისა თუ მუსიკის ულამაზესი ჰანგები... და ვინ გაგვილამაზა ჩვენი საღამო, თუ არა ისევე ჩვენი სკოლის პედაგოგებმა, რომლებიც მართლა იმსახურებდნენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივისცემას. „თამარიონის“ პედაგოგები: ქეთევან დიდუშვილი, ფიქრია ტაბატაძე და ნატალია აბრამიშვილი იყვნენ ჩვენი საღამოს „სტუმრები“. ისინი ირრულიად განსხვავებულ ამპლუაში წარდგნენ მაყურებლის წინაშე – ქეთა თავისი ულამაზესი პოეზიით, ფიქრია თავისი მხატვრული შემოქმედებით, ნატალია კი თავისი ლამაზი ჰანგებით... სამი უსათუთესი სულისა და საოცარი გულის მქონე ადამიანი, რომლებიც

დაჯილდოებულნი არიან უფლისგან ბოძებული ნიჭით, რომელიც ეძლევა კაცთა ღვთით რჩეულთა. ამ მაღალს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა.“  
✓ საღამო მრავალფეროვანი და ძალზე სასიამოვნო გამოვიდა. საღამოს „სტუმრებთან“ ბლიც-ინტერვიუებს მათი ცხოვრების ამსახველი კადრები ენაცვლებოდა, კადრებს საინტერესო კითხვები ცვლიდა, კითხვებს კი მოულოდნელი თუ მოსალოდნელი პასუხები მოსდევდა... მუსიკა და ლექსები... ლექსები... ქეთას პოეზიას ხარბად დანაფებული პედაგოგები, ჩვენი საღამოს მონაწილენი – ხათუნა კაშია, შორენა გავაშელიშვილი, ნატო ცერცვაძე, ნინო განდელიძე, ზაირა კერესელიძე და თამუნა თუთაშვილი – ვაცნობდით მსმენელს პოეტის ტკივილს, სიხარულს... ცვდილობდით, მთელი სიზუსტით გადმოგვეცა მისი განცდები...



„ფრინველს ვავხარო, – რას გაუგებ ამ ასტროლოგებს, ჩიტებს კი არა, მე ხეებს ვგავარ, მერე რა, თუ კი თვალი სულ ერთთავად ცისკენ გამიბრის და გაზაფხულზე ჭრელა-ჭრულას ვისხამ ყვავილებს, არ დაიჯერო ჩემი სიღამაზე, მითია.“

ნატალის დროულად ჩართული მუსიკალური ნომრები სულს გვითბობდა, განწყობას გვიმალვებდა... სიამოვნებით ვისმენდით ფიქრიას საინტერესო საუბარს თავის შემოქმედებაზე... ქეთას ლამაზი სიტყვებით დავასრულეთ საღამო და უფალს შევთხოვეთ:

„ეს გზა მათია... ჰოდა, უფალო, ნუ შეაჩერებ!“ ასე დაველოცეთ სავალი გზები ჩვენს საყვარელ მეგობრებს. ქეთას, ნატალისა და ფიქრიას მადლიერებით აღსავსე თვალები უთქმელდაც ყველაფერს ამბობდა... მიზანიც ეს იყო!

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა



# აბიტურიენტების არჩევანი საგნების მიხედვით

- ისტორია ⇒ 22 200-მდე აბიტურიენტმა
- მათემატიკა ⇒ 12 900-მდე აბიტურიენტმა
- ბიოლოგია ⇒ 3000-მდე აბიტურიენტმა
- გეოგრაფია ⇒ 700-მდე აბიტურიენტმა
- ზოგადი უნარები ⇒ 4 100-ზე მეტმა აბიტურიენტმა
- ლიტერატურა ⇒ 800-ზე მეტმა აბიტურიენტმა
- ქიმია ⇒ 2300-მდე აბიტურიენტმა
- ფიზიკა ⇒ 200-მდე აბიტურიენტმა
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ⇒ 50-ზე მეტმა აბიტურიენტმა.



ჩარიცხვების უკონკრეტო მონაწილეობის მისაღებად წელსაც სამი სავალდებულო საგნის (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები, ისტორია ან მათემატიკა) წარმატებით ჩაბარებაა საჭირო. ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასაბარებლად სავალდებულოა ოთხი გამოცდა. რაც შეეხება დამატებით საგნებს, უკონკრეტო პროგრამაზე თითოეული მათგანი უმაღლესმა სასწავლებელმა თავად განსაზღვრა. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ითხოვს დამატებით არჩევით საგანს, სავალდებულოა ოთხივე საგანში ბარიერის დაძლევა.

- ✓ წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 38 300-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა;
- ✓ სტუდენტთა საკრებო უწყისებში მონაწილეობის სურვილი 3 700-ზე მეტმა სტუდენტმა გამოთქვა;
- ✓ საერთო საგნისებრო გამოცდისთვის 12 800-ზე მეტი მონაწილეთა ჩართვა და რეგისტრირდა.

საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა და დამატების შესაძლებლობა აბიტურიენტებს ავტომატურად შედარების გამოქვეყნებდან მომდევნო დღის ჩათვლით აქვთ.

**გამომცემლობა „ახალი განათლება“**  
**მთავანობა**

**სიხლე**  
**მეკრიტიკა**

**მასწავლებლის გამომცემისთვის**  
შასი – 27 ლარი

**ტექსტის გააზრება**  
15 ლარი

**ნიგონი თავმოყრილი**  
I-IV კლასების მასწავლებელთა კომპიუტერული საგამომცემო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სახით  
შასი – 17 ლარი

**ნიგონის თარი**

**ტესტები ქართულ ლიტერატურაში**  
ეროვნული გამოცდისათვის

**ნიგონი I**  
V-VIII სს მხარელობა

**ნიგონი II**  
XIX საუკუნის მხარელობა

**ნიგონი III**  
XX საუკუნის მხარელობა

თითო ტომის შასი – 13 ლარი

**სწავლების ინტერაქტიული მეთოდები** 10 ლარი

**ქართული (I-VII) მასწავლებელთა გამომცემისთვის** 11 ლარი

**პროცესული უნარები** 15 ლარი

**პროცესული უნარები** 15 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმოიხსნება რაქვიზიტებზე:**  
 მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,  
 ა/ა GE93LB0113314052305000,  
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
**შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:**  
 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23